კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 42-ე წელი. № 228 (12142) | ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

17 ოქტომბერს მოწვეულია სკკპ XXII ყრილობა

ვამრავლოთ შრომითი საჩუქრები!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

კომუნიზმის მშენებელი ადამიანი

კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანს არ შეუძლია არ შრომობდეს. ამის ნებას არ მისცემს არც მისი შეგნება, არც საზოგადოებრივი აზრი. შრომა უნარის მიხედვით გახდება საზოგადოების ყველა ზევრის ჩვევა, პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება.

ასეთია ჩვენი ხვალინდელი დღე. მისი განთიადი უკვე დადგა. მას ასულდგმულებს ადამიანის ყველაზე სამართლიანი და კეთილშობილური მორალი, რომელიც გამოხატავს მთელი მშრომელი კაცობრობის ინტერესებსა და იდეალებს.

ეს მორალი, საბჭოთა ადამიანის ეს უმაღლესი თვისება შრომაშია გამოწრთობილი. მისი პირველი პრინციპია: კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება, სოციალისტური სამშობლოსადმი, სოციალიზმის ქვეყნისადმი სიყვარული.

ამ ერთგულებამ და სიყვარულმა ააშენა ჩვენი ქვეყნის ახალი ქალაქები და სოფლები, დაამშვენა ველ-მინდვრები, შექმნა გიგანტები და დიპარო კოსმოსი.

ამ ერთგულებამ და სიყვარულმა დარაზმა ჩვენი რესპუბლიკის მოეყველობის მუშაკები შვიდწლედის მესამე ჭლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, მას გაუთბო გული სოფლის მეურნეობის მუშაკებს მიეცათ დედა-სამშობლისათვის ფეტი მარცვლეული, ჩაი, ყურძენი, ხილი, მეცხოველეობის პროდუქტები.

მაღალიდეურია საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი პრინციპები. იგი მოიცავს კეთილსინდისიერ შრომას საზოგადოების საკეთილდღეოდ, ზრუნვას საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გაძრავლებისათვის. ეს დიდი ადამიანური პრინციპები ამოძრავებდათ ჩვენი რესპუბლიკის მეფოლადეებს — ფაცულაიასა და ბერიკაშვილს, მეშახტეებს — ჯინჯოლიასა და ცაავას, ელმავალმშენებელს — პაპანაშვილს და ძრავალ სხვა მოწინავე ადამიანს, რომლებმაც დროს გაუსწრეს და ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს შვიდწლედის ძესამე ჭლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალმა შეგნებამ გაუხსნა მათ გზა საერთო ალიარებისაკენ, ჩაიკენა ისინი კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში.

ახალი ადამიანი, ახალი ხასიათი შემოქმედებით შრომაში იბადება. ეს ხასიათი უპირველეს ყოვლისა კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარებაა, ხალხთა მეგობრობა და ძმობაა, ადამიანთა შორის ურთიერთ ჰუმანური დამოკიდებულება და პატივისცემაა, პატიოსნება და სიმართლეა, ზნეობრივი სიწმინდე, უბრალოება და თავმდაბლობაა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

განა საბჭოთა ადამიანის ამ კეთილშობილურმა თვისებებმა საკვეყნოდ ცნობილი არ გახადეს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ნოვატორები, ჩაის მკრეფავები: თამარ უუფუნია, დარეჯან ტაკიძე, ტატიანა ჩხაიძე, ტატიანა ტუფეუჩავა, ტატიანა ცინცაძე, გული ავიძბა; მესამინდეები: მიხეილ გურაბანიძე, ნათელა გიგოლაშვილი, კოტე სანდუხაძე, კოსტა ჯოჯუა და სხვათა სახელები.

ამ ახალმა ხასიათმა არ გამოზარდა შუქურებად სახელოვანი ქალაშვილები: მერი ქარდავა, ნორა გოგაბაძე, იზოლდა წოწონავა, ლეილა მალულარია და სხვები.

განა საბჭოთა ადამიანის ამ კეთილშობილურმა თვისებებმა, ადამიანის სიყვარულმა, ხალხთა მეგობრობამ არ მიიყვანა თავგანწირვამდე საბჭოთა არმიელი ომარ ჯოხიძე, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა პატარა ამოტ მარტიროსოვის სიცოცხლე.

და რამდენი ასეთი ადამიანია ჩვენს დიდ სამშობლოში... ეს ის ბედნიერი თაობაა, რომელიც არა მარტო აშენებს, არამედ იცხოვრებს — კომუნიზმში. მათი სახელები ამაყად გაისმოდა საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობაზე, რომელმაც ამასწინად დაამთავრა მუშაობა და დასახა საქართველოში კომუნისტური მშენებლობის ნათელი, კონკრეტული გზები და ამოცანები.

ყოველდღე სასიხარულო ამბები მოდის სადა საკოლმეურნეო მინდვრებიდან. სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად ალებულ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებენ. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშებს გვიჩვენებენ არა ეროეულები, ცალკეული შუქურები, არამედ მთელი კოლექტივები, მუშათა და კოლმეურნეთა მთელი არმია.

ამ დიდ საზოგადოებრივ გარდაქმნებში, საზოგადოების მორალურ ღირებულებებში, სამწუხაროდ აქა-იქ ჯერ კიდევ შეინიშნებიან ნაძირალები, სარეველები, რომლებიც, მართალია, მცირენი არიან, მაგრამ მაინც ახერხებენ იბოგინონ, ხელი შეუშალონ საერთო საქმეს.

საიდუმლო არ არის რომ ჩვენს წინსვლასთან ერთად, საბჭოთა ხალხის მორალურ პოლიტიკურ ერთიანობასთან ერთად, ჯერ კიდევ ცოტა როდია დანაშაულთა, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დარღვევათა ფაქტები.

უკანასკნელ ხანებში გამოშკარავებულია სახელმწიფოს მოტაცუების, თვალის ახვევის, კერძო მესაკუთრულ ტენდენციათა გამოვლინების, მიწის ნაკვეთების უკანონო მიტაცების, პირადი გამორჩენის მიზნით ავტომანქანების ყიდვისა და გადაყიდვის ფაქტები.

ხალხი, პარტია, მკაცრად სჯიან ასეთ ნაძირალებს, ხორცშეტებს. ჩვენ ვცხოვრობთ სოციალისტური დემოკრატიის აუყვავების პერიოდში და ყველაზე ჰუმანური კანონები გვაქვს, მაგრამ იმათ ვინც დანაშაულს ჩადის, ვინც ითვისებს სახელმწიფო დოვლათს, მდიდრდება პატიოსანი მშრომელის ხარჯზე, ნუ ეკნება რაიმე ჰუმანურობის, რაიმე ლმობიერების იმედი, ისინი დაისჯებიან კანონის მთელი სისასტიკით.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ზნეობისა და სამართლიანობის უბრალო ნორმებს, რომლებსაც ეესპლოატაორთა ბატონობის დროს ამახინჯებდნენ ან უსირცხვილოდ თელავდნენ, კომუნიზმი ხდის ცხოვრების ურღვევ წესებად, როგორც ცალკეულ პირთა ურთიერთობაში, ისე ხალხების ურთიერთობაშიც. კომუნისტური მორალი შეიცავს ძირითად ზოგადსაკაცობრიო მორალურ ნორმებს, რომლებიც ხალხის მასებმა შეიმუშავეს მრავალი ათასი წლის მანძილზე სოციალური ჩაგვრისა და ზნეობრივ მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ზნეობისა და სამართლიანობის ამ ნორმებს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ.

მხოლოდ თორმეტი დღე დარჩა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გახსნამდე. ყრილობა შეაჯამებს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლის შედეგებს, განიხილავს და მიიღებს სკკპ ახალ პროგრამასა და ახალ წესდებას, დასახავს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების კონკრეტულ გზებს.

საქართველოს მშრომელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი შემოქმედებით შრომაში გამარჯვებებით ხვდებიან ამ ისტორიულ მოვლენას — სკკპ XXII ყრილობას, რომელიც საბჭოთა ხალხს წაიყვანს ნათელი გზით კომუნიზმისაკენ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). Ს. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲕ, ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲕ!

საავტომობილო ქარხნის კოლექტივი ახალი შრომითი საჩუქრებით ეგებება სკკპ XXII ყრილობას. № 1 და № 2 სამსხმელო, საიარაღო-სატვიფრო, სამოდელო, ავტომატებისა და სხვა საამქროებმა ვადამდე შეასრულეს ცხრა თვის საწარმოო დავალება.

წინასაყრილობო შეჯიბრებაში ყველაზე მეტად ისახელეს თავი № 1 სამსხმელო და ავტომატების საამქროებმა, რომელთა კოლექტივებმა ამ დღეებში კომუნისტური შრომის საპატიო სახელი მოიპოვეს.

ათასზე მეტი ავტომობილმშენებელი მუშაობს ახლა მომავალი წლების ანგარიშში. დროს დიდად გაუსწრეს მეავტომატეებმა ლ. ლომიძემ, ა. კინწურაშვილმა, ა. კერვალიშვილმა, მწნეხავებმა ლ. სოხაძემ, მ. ბუაძემ, შემდუღებლებმა კ. სალიაგდინოვმა, ა. ღიბრაძემ, ლითონმჭრელმა ლ. კოპალიანმა და სხვებმა.

ავტომობილმშენებელთა გადაწყვეტილებაა სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის ააგონ „კაზ-605“ მარკის სატვირთო ავტომობილის საცდელი ნიმუში, რომელსაც რესორების ნაცვლად პნევმატური დაკიდება ექნება.

ᲤᲘᲒᲣᲚᲘ. (საქდესი). ორპირის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც იბრძვის სკკპ XXII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, ვადამდე შეასრულა მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. გეგმის გადამეტებით უკვე გამოშვებულია საუკეთესო ხარისხის პროდუქცია. „საქართველოს თაიგულის“ გამოშვების გეგმა შესრულებულია ოთხმაგად.

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ. (საქდესი). ოფურჩხეთის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა ახალ წარმატებას მიაღწია პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში. მან 18 სექტემბრისათვის 104 პროცენტით შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვების გეგმა შესრულებულია 121,5 პროცენტით.

ᲥᲘᲗᲣᲠᲐ, 4 ოქტომბერი. (საქდესი). ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელიც მონაწილეობს ყრილობისწინა სოცრალისტურ შეჯიბრებაში, შეასრულა 10 თვის გეგმა.

ასეთივე წარმატება მოიპოვა კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელმაც უკვე გამოუშვა ათობით ტონა მარგანეცი ნოემბრის ანგარიშში.

ᲒᲝᲯᲣᲐᲕᲗ 60 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘ

75 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ

ᲑᲐᲠᲐᲥᲘᲐᲜᲘ. შემოდგომა აქვთ ზნაურის რაიონის მესიმინდეებს. კარგ მოსავალს იღებენ ონჩის, ავნევის, მუგუთის, ზნაურისა და სხვა სოფლების კოლმეურნეები.

სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით ისახელა თავი ზნაურის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდემ ე. ტარუაშვილმა, რომელმაც მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარზე ვალდებულებით ნაკისრი 60 ცენტნერის ნაცვლად 75 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღო.

ახალგაზრდა კოლმეურნე კანონიერად ამაყობს თავისი შრომის შედეგით, ამაყობენ მისი თანასოფლელებიც.

ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ

ᲢᲣᲜᲘᲡᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲒᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 4 ოქტომბერი. (საკდესი). ტუნისის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰაბიბ ბურგიბამ ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე გამოგზავნილ წერილში მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობის მეთაურს ტუნისის მიმართ მეგობრობისა და სოლიდარობისათვის, რაც გამოვლინებულ იქნა ბიზერტაში საფრანგეთის იმპერიალისტური აგრესიის გამო.

საპასუხო წერილში ნ. ს. ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სიმპათიები კვლავაც სავსებით ტუნისელი ხალხის მხარეზე იქნება, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა.

ᲙᲣᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ Ო. ᲓᲝᲠᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 4 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოკტორი ოსვალდო დორტიკოს ტორადო და მისი თანმხლები პირები, რომლებიც საბჭოთა კავშირში იმყოფებოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან მომავალნი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ახალი პროგრამისა და წესდების პროექტები, რომლებიც უნდა მიიღოს სკკპ XXII ყრილობამ, უდიდესი მოვლენა იქნება საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ამ მნიშვნელოვან დოკუმენტებში მოცემულია კომუნიზმის მშენებლობის კონკრეტული გზები და ამოცანები.

ამ დიადი მიზნის განხორციელებისათვის ქარხნის პარტიულ კომიტეტთან და საამქროს პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილი პარტიული კონტროლის კომისიები, მუდმივმოქმედი კომისიები, ეკონომიური საბჭოები, საზოგადოებრივი ტექნოლოგიური და კონსტრექტორული ბიუროები, შტატგარეშე ინსტრექტორთა ჯგუფები და საზოგადოებრივი კონტროლის სხვა ფორმები საშუალებას იძლევიან გამოვლინებულ იქნას მეტი რეზერვები, შესრულდეს საახალწლო დავალები, სახელმწიფო გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნას დიდძალი მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ქარხნის კოლექტივმა, რომელიც რესპუბლიკაში წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია, ვადაზე ადრე შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი. ქვეყანას გეგმის გადამეტებით მივეცით ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, შვიდწლედის ეკონომიურ ფონდში შეტანილია 734 ათასი მანეთი.

ყრილობისათვის შესანიშნავ საჩუქრად ითვლება მილსაგლინავ დგან „400“-ის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, რაც პირველად განხორციელდა არა მარტო საბჭოთა კავშირის მეტალურგიაში, არამედ მთელ ევროპაში.

ქარხანაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა პოლიტიკური განათლების ქსელი. 86 წრეში, პოლიტიკური და ეკონომიური სწავლების სემინარებში გაერთიანებულია 1.764 კაცი.

თეორიული საკითხების შესწავლისა და მათი პრაქტიკულად გამოყენების საქმეში წარმოების მოწინავეებს უდიდეს დახმარებას უწევენ ტექნიკური კულტურის უნივერსიტეტი და ტექნიკური ინფორმაციის განყოფილება. ისინი სისტემატურად აწყობენ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის სხვადასხვა სახის ლექციებს, თეორიულ კონფერენციებს, პოლიტიკურ მოხსენებებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს ლითონის წარმოების შემდგომი ჩქარი ზრდა. იგი წელში ჩვენი ქვეყნის მეტალურგებმა ფოლადის დნობა უნდა აიყვანონ 250 მილიონ ტონამდე წელიწადში. ეს დიდი და სერიოზული ამოცანაა. მაგრამ რუსთავის მეტალურგები მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ ამოცანის შესრულების საქმეში ეა ოცწლეულში პროდუქციის წარმოება მნიშვნელოვნად გაზარდონ.

ჩვენ, რუსთავის მეტალურგები, მისი მებრძოლი რაზმი — პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ პარტიის პროგრამათ გათვალისწინებული ამოცანები და ამით გარკვეული წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზის მომზადების საქმეში.

ᲒᲘᲕᲘ ᲭᲐᲛᲘᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.



ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

ᲬᲔᲚᲡ გვალვამ შეგვაწუხა. ბევრი ამბობდა, სიმინდის დიდ მოსავალს ვერ მიიღებთო, მაგრამ რაც უფრო დიდი იყო სიძნელეები, მით უფრო გავაძლიერეთ შრომა.

20 ჰექტარი სიმინდის ნათესი სანიმუშოდ დავამუშავეთ, თითო მცენარემ ორი-სამი ტარო გაიკეთა. გული სიხარულს ვეღარ იტევდა. მესიმინდეები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ.

გვალვა დავამარცხეთ. მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა: გეგმით გათვალისწინებული 36 ცენტნერის ნაცვლად ყოველ ჰექტარზე 72 ცენტნერი სიმინდი მივიღეთ. პირადად მე ერთ ჰექტარს ვუვლიდი. ამ ერთი ჰექტარიდან 143 ცენტნერი მოვიყვანე. ვერც სხვებს დავუწუნებთ ნაამაგარს. მაგალითად, თამარ სურაშვილმა მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარზე 113 ცენტნერი სიმინდი აიღო.

როგორ მივაღწიეთ ასეთ წარმატებას? — დაუღალავი შრომით. ბრიგადის თვითეული წევრი მტკიცე რწმენით მუშაობდა, რწმენა კი გამარჯვების წინაპირობაა.

დიდი პატივი მხვდა წილად — სკკპ XXII ყრილობის დელეგატად ამირჩიეს. ეს არის არა მარტო ჩემი, არამედ მთელი ბრიგადის, მთელი კოლმეურნეობის მიერ გაწეული შრომის დიდი შეფასება. ეს შეფასება თვითეულ ჩვენგანს ავალებს უფრო ენერგიულად ვიმუშაოთ, მომავალშიც ვამრავლოთ „მინდვრის დედოფლის“ ხვავი და ბარაქა.

ᲔᲗᲔᲠ ᲭᲘᲭᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
დაბა უვარლის კოლმეურნეობის ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი.

ᲐᲥ ᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲒᲐᲕᲨᲕᲝ ᲒᲐᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

ᲡᲔᲠᲝᲕᲘ (სვერდლოვსკის ოლქი), 3 ოქტომბერი. (საკდესი). სეროვის სახელობის მეტალურგიული კომბინატის მუშაკმა ივანე ივანეს-ძე რომანოვმა უსასყიდლოდ გადასცა მშობლიურ საწარმოს ოთხი დიდ ოთახიანი საკუთარი სახლი.

პროფკავშირის საქარხნო კომიტეტში მან განაცხადა:

— ოდესღაც კარგა დიდი ოჯახი მყავდა. ახლა ქალები და ვაჟები დამეზარდნენ, ისწავლეს, თავიანთი ოჯახი გაიჩინეს და კარგად ცხოვრობენ. მე და ჩემს ცოლს დიდი სახლი აღარ გვესაჭიროება. ვიცი, რომ კომბინატს აკლია საბავშვო დაწესებულებანი. გთხოვთ წაიღოთ ჩემი სახლი და საბავშვო ბაღი გახსნათ შიგ.

საწარმოს საზოგადოებრიობამ გულითადი მადლობა გადაუხადა ძველ კომუნისტს ბავშვების კარგი საჩუქრისათვის. პარტიის XXII ყრილობის წინ ივანე ივანეს-ძე რომანოვის სახლში საბავშვო სახლი გაიხსნება.

ამხ. რომანოვის მაგალითს მიბაძა იმავე საწარმოს უფროსმა საკონტროლო ოსტატმა ვასილ თევდორეს-ძე დერიაბინმა. მან უსასყიდლოდ გადასცა კომბინატს საკუთრებად თავისი ორსართულიანი სახლი, რომელშიც ექვსი ოთახია.

ᲛᲝᲒᲕᲘᲓᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲨᲥᲠᲔᲜᲘ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 3 ოქტომბერი. (საკდესი). სან-ფრანცისკო — ძოსკოვის მაორტი მშვიდობისათვის ამერიკა-ევროპის ლაშქრობაზე მონაწილენი დღეს ჩამოვიდნენ საბჭოთა დედაქალაქში. დღისით ოცდაათი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი შემოვიდა წითელ მოედანზე, რომელიც მისი ლაშქრობის საბოლოო მიზანი იყო. აქ კრემლის ძველ კედლებთან ისინი შეგობრულად ესაუბრნენ მოსკოველებს მშვიდობის შენარჩუნების პრობლემაზე, რომელიც ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა მთელი კაცობრიობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებმა, რომლებმაც დაიწყეს ლაშქრობა, გადასერეს დასავლეთიდან აღმოსავლეთით თავიანთი ქვეყანა, გამოიარეს ევროპის შვიდი ქვეყნის ტერიტორია, სადაც მათ შეუერთდნენ მშვიდობის სხვა მომხრეები და გაკეთეს 10 ათასი კილომეტრი გზა. ამერიკელი პაციფისტები მოსახლეობაში აკრცელებდნენ ფურცლებს, რომლებშიც ჩამოყალიბებულია მათი საკეთარი თვალსაზრისი განიარაღებისა და საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხებზე.

ლაშქრობის მონაწილეებს, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე შემოვიდნენ, გულითადად შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲛᲗᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ?

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

ᲠᲝᲒᲝᲠ ემზადებიან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საწარმოები და დაწესებულებანი მომავალი ზამთრისათვის? ეს საკითხი განიხილა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მერვე მოწვევის საქალაქო საბჭოს მესამე სესიამ, რომელიც 3 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

მოხსენება ზამთრისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ გააკეთა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. გრიგალაშვილმა.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა დეპუტატებმა მ. მახარაძემ, ვ. ჭანკოტაძემ, გ. გიფრინდაშვილმა, გ. ქობულიამ, გ. მგელაძემ, ვ. ჩომახიძემ, აგრეთვე ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსმა ო. ჯაშმა, სტალინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსმა ლ. კასრაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს იმ მუშაობაზე, რაც ხორციელდება ქალაქში მომავალი ზამთრისათვის შესახვედრად.

დეპუტატებმა წამოაყენეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია ზამთრისათვის მზადების შემდგომი გაუმჯობესება.

განხილული საკითხის გამო სესიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ გაათავისუფლა დეპუტატი კ. მეგრელიშვილი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მისი არჩევის გამო.

სესიამ გაათავისუფლა დეპუტატი ა. ძრიელიშვილი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს უფროსსა და აღმასკომის წევრის მოვალეობისაგან. მილიციის სამმართველოს უფროსად სესიამ დაამტკიცა ა. ოსეფაშვილი.

სესიამ აირჩია დეპუტატი ვ. ჭანკოტაძე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრად.

სესიამ მოისმინა აგრეთვე დეპუტატ კ. მოისწრაფიშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება წინა სესიაზე მიღებული დადგენილება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საწარმოთა მუშაობის შესახებ. (საქდესი).

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲛᲗᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ?

ᲠᲝᲒᲝᲠ ემზადებიან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საწარმოები და დაწესებულებანი მომავალი ზამთრისათვის? ეს საკითხი განიხილა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მერვე მოწვევის საქალაქო საბჭოს მესამე სესიამ, რომელიც 3 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

მოხსენება ზამთრისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ გააკეთა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. გრიგალაშვილმა.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა დეპუტატებმა მ. მახარაძემ, ვ. ჭანკოტაძემ, გ. გიფრინდაშვილმა, გ. ქობულიამ, გ. მგელაძემ, ვ. ჩომახიძემ, აგრეთვე ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსმა ო. ჯაშმა, სტალინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსმა ლ. კასრაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს იმ მუშაობაზე, რაც ხორციელდება ქალაქში მომავალი ზამთრისათვის შესახვედრად.

დეპუტატებმა წამოაყენეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია ზამთრისათვის მზადების შემდგომი გაუმჯობესება.

განხილული საკითხის გამო სესიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ გაათავისუფლა დეპუტატი კ. მეგრელიშვილი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მისი არჩევის გამო.

სესიამ გაათავისუფლა დეპუტატი ა. ძრიელიშვილი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს უფროსსა და აღმასკომის წევრის მოვალეობისაგან. მილიციის სამმართველოს უფროსად სესიამ დაამტკიცა ა. ოსეფაშვილი.

სესიამ აირჩია დეპუტატი ვ. ჭანკოტაძე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრად.

სესიამ მოისმინა აგრეთვე დეპუტატ კ. მოისწრაფიშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება წინა სესიაზე მიღებული დადგენილება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საწარმოთა მუშაობის შესახებ. (საქდესი).

ᲛᲔᲐᲛᲒᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲓᲠᲘᲡᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲡ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 4 ოქტომბერი. (საკდესი). ამას წინათ ლაოსის პატრიოტულმა ძალებმა, მოლაპარაკებებმა და პარტიზანებმა სოფელ ფუკუნის მახლობლად მოსპეს განთავისუფლებულ რაიონში გადმოსხმული მეამბოხეთა სადესანტო ასეული, იუწყება სინხუას საგენტო. 38 მეამბოხე ჯარისკაცი ტყვედ ჩაბარდა.

განაცხადა რა ეს, მთავრობის ჯარების საოდლობის წარმომადგენელმა თქვა, რომ ფუმი ნოსავან-ბუნ უმის ბოლოვან ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული მითითებით მოაწყო ახალი სამხედრო პროვოკაცია და შეიჭრა განთავისუფლებულ რაიონში იმ დროს, როცა მიღწეულია შეთანხმება ხინ-ხეპში ლაოსის სამი პრინცის ახალი შეხვედრის შესახებ. ეს სეროიზული დანაშაულებრივი აქტი, ხაზგასმით აღნიშნა მან, მიზნად ისახავს ლაოსში დაბაკების დარღვევას, მშვიდობისათვის ბრძოლის გამოთხრასა და ლაოსის სამი პრინცის შეხვედრის ჩაფუშვას.

ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲥᲢᲝᲠᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 4 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარეთში დამთავრდა პირველი სამეცხიერო-საკვლევი ატომური რეაქტორის მშენებლობა. როგორც ბულგარეთის დ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა

კამათი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის შესახებ მოხსენებების გამო

ამხ. თ. პ. ბუაჩიძის სიტყვა

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი

ამხანაგო დელეგატებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტს, რომელსაც ჩვენ დღეს განვიხილავთ, მთელი საბჭოთა ხალხი განსაკუთრებული აღფრთოვანებითა და მოწონებით შეხვდა.

ფრიად საგულისხმოა, რომ საბჭოთა ადამიანებს ახალი პროგრამა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მას პარტიის XXII ყრილობა დამტკიცებდეს, მოკმედად მიაჩნიათ და მის მიხედვით საბჭოეთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისათვის და კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა აღზრდისათვის ბრძოლის ახალ ზღუდეებს. ამით ვლინდება სკკპ ახალი პროგრამის უდიდესი სასიცოცხლო ძალა.

პარტიის პროგრამის პროექტი უდიდეს ამოცანებს სახავს იდეოლოგიური მუშაობის, კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განვითარების დარგში.

კომუნიზმზე გადასვლის პირობებში შემოქმედებითი მოღვაწეობა კულტურის ყველა დარგში განსაკუთრებით ნაყოფიერი და საზოგადოების ყველა წევრისათვის მისაწვდომი ხდება. საბჭოთა ლიტერატურა, მუსიკა, ფერწერა, კინემატოგრაფია, თეატრი, ხელოვნების ყველა დარგი ახალ სიმაღლეებს მიაღწევს იდეური შინაარსისა და მხატვრული ოსტატობის განვითარებაში. ფართოდ გავრცელდება სახალხო თეატრები, მასობრივი თვითმოქმედება, ტექნიკური გამომგონებლობა და სახალხო შემოქმედების სხვა ფორმები. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საზოგადოების მხატვრული საგანძურის განვითარება და გამდიდრება მიღწეული იქნება მასობრივი მხატვრული თვითმოქმედებისა და პროფესიული ხელოვნების შეხამების საფუძველზე.

რა მდგომარეობაა რესპუბლიკის კულტურულ ფრონტზე სკკპ ახალი პროგრამიდან დასახული ამოცანების მიხედვით?

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მთლიანად საბჭოთა კულტურის განვითარება, ეროვნული კულტურის განვითარება.

ამ მხრივ ჩვენს ხალხს დიდი მიღწევები აქვს.

პროფესიული ხელოვნება ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოდ მაღალ დონეზე დგას, და თუ მას სწორად გუხელმძღვანელებთ, შეიძლება უკეთეს შედეგებს მივაღწიოთ.

ხალხური ხელოვნებაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ამას წინათ გამართულმა ოლიმპიადამ ცხადყო. ხალხური ხელოვნების ამ ჩვენებას შეზღუდული ტრაფიკული ხასიათი ჰქონდა.

რა ახალი ელემენტები ვნახეთ ხალხური ხელოვნების ამ ჩვენებაზე, ვინ მუშაობს ამ საკითხზე, ვინ ხელმძღვანელობს ესოდენ დიდმნიშვნელოვან საქმესა? არსებითად რომ ვთქვათ, ყველაფერი თვითდინებაზეა მინდობილი.

საჭიროა შევამჩნიოთ ახალი ელემენტი ხალხური ხელოვნების განვითარებაში, გამოვაელენოთ იგი, ვეცადოთ ამ ელემენტის წარმართოთ ჩვენი შესანიშნავი თვითმოქმედების შემდგომი განვითარება.

შესანიშნავია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერსპექტივები, რომლებიც პარტიამ ჩვენს ხალხს დაუსახა. დიდი და საპატიოა ამოცანები, რომლებიც დასახული მიზნის მისაღწევად უნდა გადაიჭრას. ერთ-ერთი ასეთი ამოცანაა ახალი ადამიანის აღზრდა.

როგორ არის ამ მხრივ საქმე ჩვენს რესპუბლიკაში? ჩვენში ისობით და ათასობით არიან პატიოსანი და კომუნიზმის მშენებლობის სწმული ერთგული ადამიანები, მაღალი მორალური მომთხოვნელობის ადამიანები, რომლებსაც მოპოვებული აქვთ სიყვარული და პატივისცემა თავიანთი შრომით, თავიანთი ქცევით პირად ცხოვრებაში. და ხალხს ისინი უყვარს, პატივს სცემს, აწიალებს, ირჩევს საკანონმდებლო ორგანოებში.

მეორე მხრივ, ჩვენ კიდევ ძალიან დიდი აღმზრდელობითი მუშაობა უნდა გავწიოთ მრავალი ნაკლისა და გადმონაშთის აღმოსაფხვრელად. ამ დიდ მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმის პირად მაგალითს, ვინც იესესა ასწავლიდეს სხვებს, იმათ პირად ქცევას, ვისაც მინდობილი აქვს კომუნიზმის მშენებელთა თაობის აღზრდა. სამწუხაროდ, ჩვენში ზოგჯერ ისე გამოდის, რომ ზოგიერთი ამხანაგი უფრო მეტს ფიქრობს იმაზე, თუ რა ახალ უფლებებს აძლევს მას მაღალი თანამდებობა, მაღალი პოსტი, და გაცლებით ნაკლებად ფიქრობს იმაზე, თუ რა დიდ მოვალეობებს აკისრებს მას ეს მაღალი თანამდებობა.

ჩვენს საერთო საკმეს ვნებენ ის ყოფილი ხელმძღვანელებიც, რომლებმაც უკანონოდ აიშენეს სახლები და ავარაკები, იყიდეს და გაყიდეს ავტომანქანები. როგორც ცნობილია, ხელმძღვანელი, რომელმაც სახელი გაიტეხა, ჩრდილს აყენებს სხვებსაც. და კარგია, რომ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს მტკიცედ აქვს აღებული ისეთი კურსი, რომ მოვიცილოთ ასეთი ადამიანები, შევცვალოთ ისინი პატიოსანი, პარტიის საქმის ერთგული ამხანაგებით, რაც კიდევაც ხორციელდება.

ჩვენი პარტია უდიდეს მნიშვნელობას აძლევს კადრების სწორად შერჩევასა და განაწილებას. ამაზე ძალიან მკაფიოდ და ნათლად არის ნათქვამი პარტიის პროგრამის პროექტში, შესანიშნავად იყო ნათქვამი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში. ამ მხრივ რესპუბლიკაში დიდი მიღწევები გვაქვს. უკანასკნელ ათ წელიწადში გაიზარდა მთელი პლეადა ახალგაზრდა ენერგიული, პერსპექტივიანი მუშაკებისა, რომლებმაც უკვე დაიკავეს ბევრი წამყვანი პოსტი სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგებში. თავისი პოსტი უჭირავს ეაღრესად გამოცდილი ამხანაგების ძველ გვარდიასაც, რომლებსაც გამოვლილი აქვთ ბრძოლისა და შრომის მრავალი წელი. ასეთი სიყვარულით, ასეთი ნდობითა და ტაქტით, ასეთი ყურადღებით, ვგონებ, ჯერ კიდევ არასოდეს არ მოპყრობიან ჩვენს რესპუბლიკაში ძირითად პარტიულ კადრებს.

მაგრამ ამ მხრივ მუშაობა ულევია. კადრებთან მუშაობა ისეთი ხელოვნებაა, ისეთი სტრატეგიაა, რომელზეც, ბოლოს და ბოლოს, დამოკიდებულია ჩვენი მუშაობის ყველა შედეგი.

შეცდომებიც არის ხოლმე, მაგრამ რაც უფრო ნაკლები იქნება ისინი, მით უკეთესია ყველა ჩვენგანისათვის. არსებობს რაღაც უხილავი, ძნელად შესაჭვნევი ზღვარი მუშაკების დაწინაურებისა და გადაყვან-გადმოყვანის დროს გაუმართლებელ რისსა და სწორ ეარაუდს შორის, რომელიც ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ თვითეულ ჩვენგანს მოღვაწეობის თავის დარგში ჰქონდეს რაც შეიძლება მეტი შედეგი რაც შეიძლება ნაკლები შეცდომების დროს.

მაგალითად, რად აქციეს ზოგიერთმა რაიონულმა ხელმძღვანელებმა აღმასკომების კულტურის განყოფილებები? ზოგიერთ რაიონში ამ განყოფილებების გამგეებად გზავნიან სამუშაოდ განათლების მქონე ზოოტექნიკოსებს, ცალის ტექნიკოსებს და ა. შ, ეს საკმაოდ არასერიოზული დამოკიდებულებაა. კულტურის განყოფილებები ხომ რაიონის კულტურულ ცხოვრებას ხელმძღვანელობენ, ისინი უნდა ეწეოდნენ დიდ იდეოლოგიურ, აღმზრდელობითს მუშაობას რაიონის მასშტაბით, ისინი უნდა იყოს კარგი სამეურნეო მუშაკები, რადგან ეს საქმე დაკავშირებულია მშენებლობასთან, მომარაგებასთან, დაგეგმვასთან, ფინანსებთან. თუ ჩვენ გვინდა აეამაღლოთ კულტურული მუშაობის დონე და დადებითს შედეგებს მივაღწიოთ, უნდა განვამტკიცოთ ეს რგოლი, მეტი ყურადღება დავუთმოთ მას. კულტურის სამინისტროო უკვე დგამს კონკრეტულ ნაბიჯებს ამ მიმართულებით.

ჩვენი კულტურის მოღვაწეთა ამოცანაა განახორციელონ მთავარი ხაზი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში — განამტკიცონ კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, მართლად და მაღალმხატვრულად ასახონ სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრე და მრავალფეროვნება, შთაგონებულად და მკაფიოდ წარმოსახონ ახალი, ნამდვილად კომუნისტური და ამხელონ ყველაფერი, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას. საქართველოს კულტურის მუშაკთა სახელით პირობას ვაძლევ ჩვენს ყრილობას, რომ ღირსეულად შეეასრულებთ ყველა იმ ამოცანას, რომლებსაც გვისახავენ მთავრობა, პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი. (ტაში).

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის დელეგატთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ტყიბულელი მეშახტე ი. ორჯონიკიძე, სართიჯალის საბჭოთა მეურნეობის მეფრინველე ე. ბედეხაური, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ს. ბაბაბაძე, თბილისის ანტიფაშისტური ფაბრიკის მჭედელები გ. რამბელიშვილი და ე. სოლომონია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილის სიტყვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტში დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა გადაჭრაში უდიდესი როლი საბჭოთა მეცნიერებას ეკუთვნის.

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში ღირსეული წვლილი შეაქვთ საქართველოს მეცნიერებსაც.

თანამედროვე ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა კვლევითს მუშაობას საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ამ მიმართულებით ქართველ მეცნიერთა დიდი რაზმი შრომობს. ახალი პროგრამის დებულებანი დაეხმარებიან მათ კიდევ უფრო გაუმჯობესონ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის საჭიროროტო პრობლემების დამუშავება.

თეორიული კვლევის დარგში ამჟამად პირველ პლანზე გამოდის ისეთი წამყვანი დარგები, როგორიც არის მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. ამ დარგებში ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. მაგალითად, ქართველმა ფიზიკოსებმა დაამთავრეს შემუშავება მაგნეტის მაღნის ექსპრეს-ანალიზის მეთოდისა, რომელიც ნეიტრონული დასხივების გამოყენებაზეა დაფუძნებული. კარგი შედეგებია მიღებული თანამედროვე ფიზიკის ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგებში, როგორიც არის ატომგულის ფიზიკა და კოსმოსური სხივების ფიზიკა.

ჩვენმა ქიმიკოსებმა მიიღეს ახალი ტიპის ადსორბენტები — მოლეკულური საცრები, რომელთა გამოყენებას მრეწველობაში დიდი პერსპექტივა აქვს. დამთავრებულია დიდმნიშვნელოვანი კვლევა სულფიდის მაღნებიდან სპილენძის ავტოკლავური გამოცლის დარგში. მიღებულია ახალი, უფრო ეფექტიანი სახეების ორგანულ-მინერალური პრეპარატები ვაზის ქლოროზის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქართველმა მეცნიერებმა შეიმუშავეს აზოტირებული მარგანეცის მიღების ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ნიკელის დიდ ეკონომიას უეანგავი ფოლადების წარმოებაში. მათ მიერ შემუშავებული და რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში დანერგილია ტექნიკური და სუფთა პერმანგანატის მიღების ელექტროლიზური მეთოდი, რაც ჩვენს სახალხო მეურნეობას ათავისუფლებს ამ ძვირადღირებული პროდუქტის იმპორტისაგან.

ჩვენმა გეოლოგებმა დაამთავრეს სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს კომპლექსური გამოკვლევა. გადაჭრილია ფოლადურის რკინის მადნის კვანძის გეოლოგიური აღნაგობის მთელი რიგი აქტუალური საკითხები. მიღებულ შედეგებს ფართოდ იყენებენ საწარმოო ორგანიზაციები.

საქართველოში წარმატებით ვითარდება თანამედროვე მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიც არის გამთელითი მათემატიკა, კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ავტომატიკა და ტელემექანიკა, ატომგულის ფიზიკა, კოსმოსური სხივების ფიზიკა, ბიოფიზიკა, ბიოქიმია და სხვ.

უკანასკნელ წლებში საკმაოდ ბევრ დიდმნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს რესპუბლიკის მეცნიერებმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მთელ რიგ სხვა დარგებშიც, აგრეთვე საზოგადოებრივ, ტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო მეცნიერებათა დარგში. ეს წარმატებანი ფართოდ ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც.

ამჟამად ჩვენი მეცნიერების ღონისძიებანი წარმართულ უნდა იქნას იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებსაც პირველხარისხოვანი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მდგომარეობის დროს ასეთი პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია დაუგეგმავად, ან შეთანხმებულად მუშამედი კოლექტივების მონაწილეობის მიუღებლად. ასეთი კოლექტიური მუშაობის ორგანიზაციის დროს წამყვანი როლი ეკუთვნის მეცნიერული კვლევის კოორდინაციას საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით. ამას ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რასაც მოწმობს ის, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეიქმნა „მეცნიერული მოღვაწეობის კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტები.

კოორდინაციაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს არა მარტო ცალკეული მუშაკების ღონისძიებათა გაერთიანება და უსარგებლო პარალელიზმის აღმოფხვრა, რაც ჯერ კიდევ არის, არამედ მოწყობილობის, მატერიალური ბაზის მიზანშეწონილი განაწილებაც.

საქმე ის არის, რომ ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრა ამჟამად ყოველად შეუძლებელია, თუ არ გვექნა პირველხარისხოვანი მოწყობილობა, რადგან არასრულყოფილი ან მომძველებული ხელსაწყოებით შეიძლება მხოლოდ დამმარე მეორეხარისხოვანი შედეგების მიღწევა. მეორე მხრივ, სრულყოფილი, უნიკალური მოწყობილობის შექმნა უდიდესი შრომისა და სახსრების დახარჯვას მოითხოვს, ამიტომ ასეთი მოწყობილობის მიზანმიწოფილი განაწილების საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

ორიოდე წლის წინათ საქართველოში მწყობრში ჩადგა საკვლევი ატომური რეაქტორი, რომელიც წარმატებით უწევს მომსახურებას არა მარტო ქართველ, არამედ აგრეთვე აზერბაიჯანელ და სომეხ მეცნიერებს.

შეიძლებოდა მოგვეყვანა ასეთი გონივრული და სასარგებლო თანამშრომლობის ძალიან ბევრი მაგალითი, მაგრამ მე დავჯერდები იმას, რომ დავასახელებ კიდევ მხოლოდ ერთ ძალიან ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან დარგს მეცნიერებისას — კიბერნეტიკას, რომლის დარგშიც ჩვენში გაიშალა ფრიად ინტენსიური მუშაობა, რომელიც საბჭოთა კავშირის სხვა სამეცნიერო ცენტრების მუშაობასთან მეტად მჭიდრო კავშირში წარმოებს. კიბერნეტიკოსთა ჩვენი ახალგაზრდა კოლექტივი სარგებლობს საბჭოთა კავშირის მთელ რიგ დიდ დაწესებულებათა ეფექტიანი მხარდაჭერით და თავის მხრივ ასრულებს მათთვის დიდმნიშვნელოვან, პერსპექტიულ სამუშაოებს.

ქართველი საბჭოთა მეცნიერება ამჟამად ახალ მძლავრ აღმავლობას განიცდის.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ. მიუხედავად საერთო ინტენსიური წინსვლისა, ჯერ კიდევ მთელი რიგი ნაკლოვანებები გვაქვს.

პირველ რიგში ეს არის ნაკლებობა თანამედროვე მოწყობილობისა, რომლის მნიშვნელობაზე უკვე ვილაპარაკე. ისეთ დაწესებულებებთან ერთად, როგორიც არის კოსმოსური სხივების მაღალმთიანი ლაბორატორიები ბაკურიანში და ცხრაწყაროს ულელტეხილზე, რომლებიც მოწყობილია უნიკალური თანამედროვე აპარატურით და ერთ-ერთი საუკეთესო არიან მსოფლიოში, ჩვენ გვაქვს დაწესებულებები, რომლებსაც აკლიათ თანამედროვე მოწყობილობა.

მეცნიერული კვლევის დაგეგმვისა და კოორდინაციის საკითხები ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული. ჯერ კიდევ ბევრი რამ გაურკვეველია ამ უმნიშვნელოვანესი შუმბის ორგანიზაციაში.

სავსებით დამაკმაყოფილებლად ვერ არის მდგომარეობა წარმოებაში მეცნიერული მიღწევების დანერგვის მხრივ.

მართალია, უკანასკნელ წლებში . ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებს მივაღწიეთ. მაგალითად, თუ ვიანგარიშებთ ჩვენი აკადემიის ინსტიტუტებში შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ეფექტიანობას, რომლებიც მარტო 1962 წელს დაინერგება წარმოებაში, ყოველწლიური ეკონომია 11-12 მილიონი მანეთი იქნება.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ დიდ გალში ვართ სახელმწიფოს წინაშე, რადგან გაცილებით მეტის გაკეთებას შეეძლებდით, საჭირო სიბეჯითე რომ გამოგვეჩინა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას — ეს არის კადრების მომზადებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ნიჭიერი მუშაკებით სათანადოდ დაკომპლექტების საკითხი.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები კომპლექტდებოდეს ყველაზე ნიჭიერი, შრომისმოყვარე ახალგაზრდა სპეციალისტებით. ამ მიმართულებით ჩვენ ეფიქრობთ გავაკეთოთ მთელი რიგი ეფექტური ღონისძიებანი, როგორიც არის, მაგალითად, გარკვეული ვაუოთ მოზიდვა სტაჟიორებისა, რომელთა შორის შეგვეძლება შევარჩიოთ ყველაზე შესაფერი მომავალი მეცნიერი თანაშრომლები, იმავე მიზნით პრაქტიკაზე გაგზავნა ჩვენს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში უმაღლესი სასწავლებლების უფროსი კურსის სტუდენტებისა და ა. შ.

ამხანაგებო! ჩვენ შესანიშნავ დროში ვცხოვრობთ, როცა თვითეულ დღეს მოაქეს ახალი ამბები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გრანდიოზული პროგრამის წარმატებით განხორციელების შესახებ, საბჭოთა ადამიანების უმაგალითო საგმირო საქმეების შესახებ.

საქართველოს მეცნიერები ისწრაფვიან უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა ხალხის ბრძოლაში კომუნიზმის აშენებისათვის.

ნება მიბოძეთ პირობა მივცე ჩვენს ყრილობას, რომ ქართველ მეცნიერთა ნიჭიერი და შრომისმოყვარე კოლექტივი, მშობლიური პარტიის ახალი პროგრამის დიადი წინასწარდასახელობებით აღფრთოვანებული, მთელ თავის შემოქმედებითს ძალებს მოახმარს იმას, რომ ხელი შეუწყოს ჩვენი პარტიის ამ ისტორიული პროგრამის ამოცანების ეს ნრაფესად განხორციელებას. (ტაში).

ამხ. ო. ე. ჩერქეზიას სიტყვა

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო!

ადიდი დრო აღარ დარჩა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გახსნამდე. საქართველოს ახალგაზრდობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მოუთმენლად ელის ამ დღეს და ემზადება მისი ღირსეულად შეხვედრისათვის.

მოსკოველთა თაოსნობის მიხედვით ჩვენი რესპუბლიკის 150.000-მდე ჰაბეკი და ქალიშვილი პირად შრომით ხარჯავს ეუმზადებს სკკპ XXII ყრილობას. მათგან 20 ათასზე მეტმა ვალდებულება იკისრა ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს წლიური საწარმოო დავალება. ბევრი საწარმოს კოლექტივი ყრილობის გახსნის დღეს იმეშაკების მომეჩინრობის შედეგად მიღებული მასალებით.

შეიძლება მოყვანილ იქნას ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობის თავდადებული შრომის ბევრი მაგალითი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მაღალი შეფასება მიეცა საქართველოს კომკავშირისა და ახალგაზრდობის შრომითს საქმიანობას. ეს შეფასება ბევრს გვაკვლევს. სკკპ პროგრამის პროექტში ნათქვამია: „კომკავშირი მოწოდებულია კიდევ უფრო მეტად... ავითარებდეს ახალგაზრდობის აქტივობასა და შრომის გმირობას".

კომუნისტური შრომის ნიშნებს უკვე ახლაც ეხედავთ. სოფლის 7.500 ახალგაზრდა მშრომელმა მოიპოვა კომუნისტური შრომის დამკვრელის სპეციალური წოდება, 980 კოლექტივმა მოიპოვა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება. კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრებაში ათეულ ათასობით ახალგაზრდა მუშა და კოლმეურნე მონაწილეობს. ჩვენს თვალწინ იქმნება ნდობაზე, შეგნებულ დისციპლინაზე დაფუძნებული ურთიერთობა. ჩვენს ცხოვრებაში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ავირიობებმა, შაბათობებმა, წარმოებაში ვითარდება საზოგადოებრივი თვითმმართველობის ქსელი — კომკავშირული შტაბები, თვითმოქმედი საკონსტრუქტორო ბიუროები, ახალგაზრდა სპეციალისტების საბჭოები, ახალგაზრდა მესიმინდეების ზონალური საბჭოები. კომუნისტური შრომის ბევრი ბრიგადა უკონტროლიორებოდ მუშაობს. სულ უფრო მეტი ახალგაზრდობა ებმება კომკავშირული საგუშაგოების, სარეიდო ბრიგადების, „მსუბუქი კავალერიის" რაზმების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების მუშაობაში. გამოჩნდა საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი სახალხო თეატრები, უნივერსიტეტები, კულტურის სახლები, კლუბები, ლექტორიუმები, საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტები. ფართოდ ვრცელდება თვითმმართველობა. ყოველივე კარგი. რაც გაკეთდა და კეთდება, შედეგია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, მისი ბიუროს ყოველდღიური ყურადღებისა კომკავშირის მუშაობისადმი.

ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა ვყავს. მაგრამ კომკავშირულ ორგანიზაციებს უფლება არა აქვთ ვერ ხედავდნენ, რომ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ეწევა მუქთახორა ცხოვრებას, თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს კიდევ სტუდენტ ახალგაზრდობასთან მუშაობაშიც. დღემდე სტუდენტების საგრძნობი ნაწილი კომკავშირული გაგლენის სფეროს გარეთ რჩება, სტუდენტთა წრეში არის ათოლიტიკურობის, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი გულგრილობის ფაქტები, მისწრაფება იმისადმი, რომ ცხოვრებას წაართვან რაც შეიძლება მეტი. ხოლო მისცენ რაც შეიძლება ნაკლები.

სავსებით სამართლიანად გაგვაკრიტიკა თავის მოხსენებაში ე. პ. მეკავანაძემ. ჩვენ სწორად გვესმის ეს კრიტიკა.

ყრილობის დელეგატები, პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ კომკავშირული ორგანიზაციები კრიტიკას უპასუხებენ ბევრად უფრო პრინციპული და შეურიგებელი ბრძოლით ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ.

დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ბავშვთა აღზრდის საქმეში, საჭიროა უმცროსკლასელებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენა ისე, რომ მათში მოთხრობილი იყოს ჩვენი შრომითი ყოველდღიურობის გმირებზე და იმათზე. ეინც თავისი ხელით აშენებს კომუნიზმს — ვალენტინა გაგანოვაზე, ტატიანა ჩხაიძეზე, არჩილ ძამაშვილზე და სხვებზე.

არ შემიძლია არ გავიმეორო საკითხი, რომელიც უკვე არაერთხელ ყოფილა დასმული. ახალგაზრდობა ჩვენი მწერლებისა და პოეტებისაგან მოელის ეარგ წიგნებს ჩვენი დროის საგმირო საქმეებზე.

ჩვენ აგრეთვე ეფიქრობთ, რომ უნდა შეიქმნას მეტი მხატვრული ნაწარმოები, პოპულარული ისტორიული ბრომშერები არა შორეულ წარსულზე, არამედ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაზე, სამოქალაქო, სამამულო ომების გმირებზე. ბევრი სიუჟეტი და თემა ჯერ კიდევ ელის თავის ავტორებს.

ამხანაგებო! ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალმა სტეპანეკომ ყრილობაზე გვიამბო საქართველოს ჭაბუკების საუკეთესო სამსახურზე ოლქის ჯარებში. საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია ჩაუნერგოს ახალგაზრდობას კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება, მზადყოფნა — დაიცვას მისი მონაპოვარი ყველგან — ჩარხთან, ტრაქტორის საჭესთან, მინდვრად, ქარხნებში და მშენებლობებზე, ხოლო თუ საჭირო იქნება — იარაღით ხელში.

კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი, რომელიც გამოცხადებულია სკკპ ახალი პროგრამის პროექტში, კანონი უნდა გახდეს თვითეული კომკავშირელისათვის, თვითეული ჭაბუკისა და ქალიშვილისათვის.

საქართველოს კომკავშირი პირობას აძლევს ყრილობას გააკეთოს ყველაფერი, რომ ჩვენი ახალგაზრდობა კომუნისტური მორალის ნიმუში იყოს.

ერთხელ კიდევ ვაძლევთ პირობას ჩვენს საყვარელ პარტიას, რომ კომკავშირი მუდამ იქნება მისი საიმედო რეზერვი და ერთგული თანაშემწე. (ტაში).

ამხ. კ. მ. ლომაძის სიტყვა

ტყიბულის რაიონის მშრომელთა დეპუტატთა მუშაკთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ტყიბულის რაიონის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით განახილავენ და სწავლობენ ჩვენი ეპოქის უდიდეს ისტორიულ დოკუმენტებს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამისა და წესდების პროექტებს.

რაიონის მშრომელებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენების ამ კონკრეტულ ამოცანათა გადასაწყვეტად, რაც პარტიის პროგრამის ახალი პროექტით არის დასახული, საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა და თავდადებული შრომა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ დოკუმენტების გაბნილვამ რაიონის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში დიადი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია. ნაკისრია გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები, რომლებიც წარმატებით სრულდება.

ბევრმა სამრეწველო საწარმომ და კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა პირობა. ავანგარდია ტყიბულელ-ანაბაშირის ტრესტის კოლექტივი. მას ვალდებულება ჰქონდა აღებული წლის ბოლომდე საშობლისათვის გეგმის გადამეტებით მიეცა 15.000 ტონა ხარისხოვანი ნახშირი. გეგმის ზეკით უკვე ამოიღო 18.600 ტონაზე მეტი ქვანახშირი. გადაჭარბებით შეასრულეს სოციალისტური ვალდებულებები ელექტრომექანიკურმა სახელოსნომ, გამაუხვებელმა ფაბრიკამ, ორპირისა და ტყიბულის ჩაის ფაბრიკებმა და სხვა კოლექტივებმა.

პარტიის ახალი პროგრამის პროექტის განხილვის დღეებში რაიონის საწარმოებში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. ამან დადებითი ნაყოფი გამოიღო. რამდენადმე ამაღლდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. ამ მხრივ კარგ შედეგებს მიაღწიეს ლენინისა და სტალინის სახელობის შახტებმა, გამაუხვებელმა ფაბრიკამ და სხვ.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ ტყიბულისა და ორპირის ჩაის ფაბრიკები. გააუმჯობესეს ხარისხი ტყიბულშახტშენის სამშენებლო სამმართველოსა და კურსების გრანტის ქარხნის კოლექტივებმაც.

პარტიის პროგრამის პროექტში ხაზგასმულია საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და ელექტროფიკაციის გადამწყვეტი მნიშვნელობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში. ითვალისწინებენ რა ამ მითითებას, რაიონის სამრეწველო საწარმოთა ტექნიკური ხელმძღვანელები და რაციონალიზატორები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებენ საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონის შემოგვიანი ამაღლებისათვის. ტყიბულის შახტებში დაინერგა ნახშირის მომზადების ავტომატიზაციის მოქმედი კონვეიერები, განხორციელდა „ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის დანადგართა ავტომატური შუხეთვის ღონისძიებები და სხვ. მუშავდება და ახლო მომავალში განხორციელდება მთელ რიგ სამუშაოთა მექანიზაცია, რაც კიდევ უფრო შეამსუბუქებს შრომას და ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას.

წინა წლებთან შეფარებით მნიშვნელოვნად გადიდდა ჭიანურებით ამოღებული ქვანახშირის რაოდენობა და ამაღლდა ამ ნედლეულის ხარისხი. ეს ამ მხრივ ეარგ შედეგებს მიაღწიეს ლენინისა და სტალინის სახელობის შახტებმა, ეარგ ეარიანებ ეარ ეარ ეარ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა

კამათი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის შესახებ მოხსენებების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. გ. პ. წითლიძის სიტყვა

(დასასრული)

ლომდე სახელმწიფოს მიეყიდით 30 მილიონ ცალ ციტრუსს, 4.000 ცენტნერ ტუნგოს, 21.960 ფუთ სიმინდს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებამ და შემოსავლის ზრდამ ხელი შეუწყო კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ჩვენი სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებულია, ყველა ოჯახში მუშაობს რადიო. გაჩქეს საკუთარი ნაბეჭდი გაზეთი. გარდა ამისა, ვიღებთ საბჭოთა კავშირისა და ათი საზღვარგარეთის სახელმწიფოს 109 სახელწოდების ჟურნალსა და 32 დასახელების გაზეთს 4.529 ცალის რაოდენობით.

ტელემოყვარულებმა დაიწყეს გადაცემების მიღება სოჭიდან, თუმცა პირველი კლასის ტელევიზორების შოვნა უფრო ძნელი გახდა, ვიდრე გადაცემის მიღება.

მეორე წელია მუშაობს კულტურის უნივერსიტეტი. კოლმეურნეთა წინაშე მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე, პროფესორი ი. ცინცაძე, ი. თავაძე და სხვები.

კოლმეურნეთა ოჯახში დამკვიდრდა გაზქურები, მაცივრები, ჩაის პლანტაციებში მუშაობს ოთხი სასადილო, 10 საბავშვო ბაღი და ბაგა. ექსპლოატაციაშია 7 შეკნინებული წისქვილი, სოფელში გვაქვს კეთილმოწყობილი საავადმყოფო, კულტურის სახლი, 3 კლუბი, 6 ბიბლიოთეკა, ბანაფი და სხვ.

თუ რეგოლუციამდელ ნატანებში მხოლოდ ერთი ორკლასიანი სასწავლებელი იყო, ამიერიდან ერთი — საშუალო, ერთი შვიდწლიანი და სამი დაწყებითი სკოლაა, რომლებშიც 1.100 ბავშვი სწავლობს. ახლახან გაიხსნა მუსიკალური სკოლაც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში ნათქვამია: „მძლავრ მრეწველობასთან ერთად აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა“.

ამ საპროგრამო მითითების საფუძველზე შევიმუშავეთ კოლმეურნეობის შემდგომი განვითარების გეგმა.

პარტიის პროგრამაში გათვალისწინებულია სამუშაო დღის ხანგრძლივობის თანდათანობით შემცირება. ჩვენი ახალი გეგმები წარმოების უფრო მაღალ დონეს ითვალისწინებენ. მანქანები კი არა ჩანს. გამოდის, რომ სამუშაო დღის ხანგრძლივობა ჩაის პლანტაციებში მომუშავეთათვის უნდა გადიდდეს, ამიტომ საერთო საქმის ინტერესი მოითხოვს მანქანური მუშაობის სწრაფად დანერგვას.

ჩვენი რაიონის პირობებისათვის აუცილებელია გადაწყდეს ჩაის პლანტაციების მორწყვითი სამუშაოების ჩატარება. უნდა გაძლიერდეს პარბტენიანი ფართობების დაშრობა. ნატანების კოლმეურნეობას ამ მხრივ კარგ დახმარებს უწევენ წყალთა მეურნეობის სამინისტრო და კოლხიდმშენი.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ კომუნიზმი ყველა ადამიანის თავდადებული შრომით შენდება. ამიტომ ყოველობას პირობას ვაძლევთ, რომ საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად ჩვენ კოლმეურნეობის წევრები ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წარმატებით დავიტაროთ შვიდწლედის ზღვდეები, დავაჩქაროთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენება. (ტაში).

ამხ. ფ. ვ. სტეპჩენკოს სიტყვა

ამხანაგებო! სკკპ ახალი პროგრამის პროექტი კომუნისტური შემოქმედების, მშვიდობისმოყვარეობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ამ ისტორიული დოკუმენტის იდეების ძალა განუზომელია. იგი საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებს ახალი შრომითი სამგბრო სამეკეფისათვის, ხოლო მსოფლიოს ყველა ხალხს — თავისი განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. ამასთან ერთად პროგრამის პროექტი უმაგალითო ძალის დარტყმას აყენებს დრომოქმედ კაპიტალისტურ სისტემას.

რის დაპირისპირება შეუძლია იმპერიალიზმს ჩვენი შესანიშნავი პროგრამისათვის? ცილისწამებისა და სიცრუისა, მაგრამ მას ნაკლებად თუ ვინმე უჯერებს. ისტორია გვასწავლის, რომ დრომოჭმული ემსახურებიან ისტორიული კლასები ასეთ შემთხვევებში მუდამ იარაღს ჰკიდებდნენ ხელს, მაგრამ შედეგი ერთი იყო — ადამიანთა საზოგადოება წინ მიდიოდა, გზიდან იშორებდა ყოველივე ძველს, დრომოქმედს.

იმპერიალისტები ცდილობენ თავიანთი იდეური უძლურება დაფარონ სიმარი. მზადებისა და მუქარის ცილებცხელებით. მაგრამ ახლა დროება შეიცვალა. სოციალიზმი დაუძლეველი ძალა გახდა. იგი ძლევამოსილად მიაბიჯებს ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტზე.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს აქვთ ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ალაგმონ აგრესორი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი შეეცდება გააჩაღოს ომი, გადაუმტვრიონ მას ხერხემალი.

ამისათვის ჩვენ ყოველთვის ძლიერი უნდა ვიყოთ და მუდამ მზად ვიყოთ ჩვენი საამბოხოს და სოციალისტური ბანაკის ინტერესების შეიარაღებული დაცვისათვის. პარტიის პროგრამის პროექტს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერების განმტკიცება მიაჩნია პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის წმიდა მოვალეობად, სოციალისტური სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციად.

ამერიკიანელი სამხედრო ოლქის კომუნისტები და მთელი პირადი შემადგენლობა, მაგი ზღვის ფლოტის მეზღვაურები ერთსულოვნად და დიდი პოლიტიკური ალმავლობით იწონებენ სკკპ პროგრამის პროექტს და ამ ისტორიული დოკუმენტიდან აკეთებენ თავიანთვის მთავარ დასკვნას, იმ დასკვნას, რომ საჭიროა სოფხიზლის გაძლიერება და ბრძოლისუნარიანობის ამაღლება.

ოლქის ნაწილებსა და ქვეგანყოფილებში სოციალისტურ შეჯიბრებას ჯერ კიდევ არასოდეს არ მიეღია ისეთი ფართო გაქანება, როგორც ამჟამად. თვითეული მეომარი, თვითეული ქვეგანყოფილება ნაწილი თავის საჩუქრებს უმზადებს სკკპ XXII ყრილობას. ამასთან ჯარისკაცები, სერჟანტები და ოფიცრები მადლობას უძღვნიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, რომელთა ხელმძღვანელობითაც შექმნილა თავდაცვის მძლავრი მატერიალური ბაზა, რომელმაც შესაძლებელი გახადა აღგვეჭურვა საბჭოთა არმია მძლავრი შეიარაღებით, რომელიც აღემატება ყოველივე იმას, რაც კი როდისმე ყოფილა არმიების განკარგულებაში.

ამ ტექნიკის სრულყოფილად დაუფლება, მისი გამოყენების მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველყოფა — ასეთია მთავარი ამოცანა, რომელზეც წარმატებით მუშაობენ ჩვენი ჯარები.

ლენინი გვასწავლიდა, რომ შეიარაღებულ ბრძოლაში გამარჯვება საბოლოო ანგარიშში დამოკიდებულია მასის მორალურ მდგომარეობაზე, რომელიც სისხლს ღვრის ბრძოლის ველზე. ლენინის ამ დებულების ბრძოლის ახალ საშუალებათა არსებობისას კიდევ უფრო დიდი ძალა ენიჭება, რაც უფრო რთული და დამანგრეველია ტექნიკა, რაც უფრო გაფთრებულია ბრძოლა, მით უფრო მაღალია ადამიანის, როგორც მებრძოლის გამარჯვების გადამწყვეტი ძალის როლი.

საბჭოთა მეომრების მაღალი იდეურობა, ჩვენი დიადი საქმის სამართლისა და გამარჯვებისადმი მათი რწმენა საბჭოთა არმიას განსაკუთრებულ, უძლეველ ძალას ანიჭებს.

სკკპ პროგრამის პროექტში ასე დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სამხედრო მოსამსახურეთა კომუნისტურ აღზრდას, როგორც შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს პირობას.

ოლქის ჯარებში მეთაურები, პოლიტორგანოები და პარტიული ორგანიზაციები. დიდ მუშაობას ეწევიან პირადი შემადგენლობის აღსაზრდელად პარტიისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, სამხედრო მოვალეობისადმი ერთგულების და იმპერიალისტი აგრესორებისადმი სიძულვილის სულისკვეთებით. ჩვენი ნაწილების პოლიკულტურა-მორალური მდგომარეობა განსაკუთრებით მაღალია.

ჩვენი შეიარაღებული ძალების ძალის და საბრძოლო ძლიერების მთავარი წყარო იყო, არის და იქნება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა. ეს დებულება განსაკუთრებული ძალით ხაზგასმულია სკკპ პროგრამის ახალ პროექტშიც.

ჩვენი პარტიის მებრძოლი რაზმია არმიისა და ფლოტის პარტიული ორგანიზაციები. მათი საშუალებით პარტია დაკავშირებულია სამხედრო მოსამსახურეთა ფართო მასებთან, მათი საშუალებით ახორციელებს იგი თავის გადაწყვეტილებებს სამხედრო მშენებლობის დარგში.

ჩვენ მოხარული ვართ მოვახსენოთ პარტიის ყრილობას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებისა და პარტიის შემდგომი გადაწყვეტილებების შესრულების შედეგად ოლქის პოლიტორგანოებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა და გაძლიერეს თავიანთი გავლენა ჯარების მთელ ცხოვრებაზე. ისინი ახლა უფრო ღრმად და აქტიურად სწვდებიან საბრძოლო მომზადების, დისციპლინისა და აღზრდის საკითხებს, იჩენენ უფრო მეტ შემოქმედებასა და ინიციატივას.

პარტიის რაგები ოლქში ოქტომბრის პლენუმის შემდეგ განელილი პერიოდის მანძილზე თითქმის ერთიანად გადიდდა.

ჯარების მთელ ცხოვრებაზე პარტიული გავლენის გაძლიერებას მეოხებით გაძლიერდა ჩვენი კადრების სოზოგადოებრივი, პოლიტიკური აქტივობა. გაბმტკიცდა ერთიფროსობა და თანამეგობრობა მეთაურებისა და პოლიტმუშაკების მუშაობაში.

ამას წინათ გამართულმა პარტიულმა კრებებმა და პარტიულმა კონფერენციებმა ცხადყო, რომ ოლქის პარტიული ორგანიზაციები მეტიდროდ არიან დარაზმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო და აქტიურად მუშაობენ მის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ჩვენი ჯარების ავანგარდი მშრომელთა მასებთან იზრდება და მტკიცდება. ჩვენ მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, რესპუბლიკების მთავრობები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები დიდი ყურადღებით ეკიდებიან ჩვენი ჯარების საჭიროებებს, აქტიურად უწყობენ ხელს მათი საბრძოლო მომზადების ამაღლებას და პირადი შემადგენლობის აღზრდის გაუმჯობესებას.

ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია კიდევ უფრო დაძაბულად და უკეთ ვიმუშაოთ, შემდეგშიც განვამტკიცოთ კავშირი ხალხთან. რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რაც ჩვენი ნამდვილად სახალხო არმიის ძლიერების ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ჩვენი შეიარაღებული ძალები, მათ შორის ამერიკიანელი სამხედრო ოლქის ჯარებიც, მრისხანე დამამშვიდებელი პერანგია სამხედრო ავანტიურების ყველა ჯერის მოყვარულთათვის. პარტიისა და მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმული ჩვენი ოლქის ჯარები XXII ყრილობას ეგებებიან ახალი წარმატებებით როგორც სწავლაში, ისე საბრძოლო მზადყოფნაში. (ტაში).

ამხ. მ. თ. ბლაქბას სიტყვა

ამხანაგებო!

სკკპ ახალი პროგრამის პროექტს უმაგალითო ენთუზიაზმით შეხვდა ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა. თანამედროვეობის ამ შესანიშნავმა მარქსისტულ-ლენინურმა დოკუმენტმა საბჭოთა აფხაზეთის მშრომელებში უცნაურესი გამოხმაურება, განსაკუთრებული აღფრთოვანება და ერთსულოვანი მოწონება გამოიწვია. საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში, სამეცნიერო ინსტიტუტებში, სამეცნიერო ინსტიტუტებში, ყველგან სკკპ პროგრამის პროექტის განხილვა მიმდინარეობს მასების მზარდ, პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, მშრომელთა იმ მტკიცე გადაწყვეტილების ნიშნით, რომ წარმატებით განახორციელონ მშობლიური კომუნისტური პარტიის გაბედული და გრანდიოზული მიზანდასახულობანი.

კომუნიზმის „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია სკკპ პროგრამის პროექტში, ზომიერად ოცლეულნი განუხრელად განვითარდება და აყვავდება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა. ამ წლების მანძილზე აფხაზეთის მრეწველობის პროდუქციის წარმოება არსებითად გადიდდება. რესპუბლიკის მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაში წამყვან როლს შეასრულებს ენერგეტიკული ბაზის მნიშვნელოვანი გაფართოება. ენგურის ნაპირებზე უკვე გაჩაღდა, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა. ახალი ჰიდროელექტროსადგურების კასკადები აგებულ იქნება ალრეთვე მდინარეებზე კოდორსა და ბზიფზე. მწყობრში უნდა ჩადგეს ჰიდროელექტროსადგურება მდინარე ღალიძგაზე და ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური. ეს შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო ფართოდ განვავითაროთ ჩვენი სამშობლოს ნაყოფიერი მრეწველობა, შევქმნათ წარმოების ახალი დარგები.

დიდი ცვლილებები მოხდება აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში. გადიდდება ჩაის, ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ნარგაევების ფართობი, ამასთან ერთად საჭიროა ყოველი ღონისძიებით გაიადიდოთ არსებული ბაღებისა და პლანტაციების მოსავლიანობა, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის მთავარი რეზერვია.

აფხაზეთის XXVII საოლქო პარტიულ კონფერენციაზე აფხაზეთის პარტიული და საბჭოთა ორგანოები სამართლიანად იქნენ გაკრიტიკებული ჯერ კიდევ არასაკმაო ორგანიზატორული მუშაობისათვის ჩაის, ციტრუსებისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდების თარგში. ჩვენში არის მეჩაიეობის მოწინავე მეურნეობები, როგორც, მაგალითად, ბუდაითის რაიონის კოლმეურნეობა „დურიფში“, რომლებიც ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის ზრდისათვის შეუპოვარი ბრძოლის მაგალითებს გვიჩვენებენ. ისინი თვითეულ ჰექტარზე აღწევენ 5 და მეტი ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მიღებას. მაგრამ ჩაის საშუალო მოსავლიანობა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დაბალია. რესპუბლიკის მეჩაიეობის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ისეთივე შედეგებისათვის რომ მიეღწიათ, როგორსაც დურიფშელებმა მიაღწიეს, აფხაზეთს უკვე ახლა შეეძლებოდა ერთიორად გაედიდებინა ჩაის ფოთლის მოსავალი.

უდიდესი რეზერვები და შესაძლებლობებია რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. მაგრამ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უარაოფფოს გავლენას ახდენს მისი დაგეგმვის სეროზული ნაკლოვანებანი. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ნაკლებად უწევენ ანგარიშს ჩვენს წინადადებებს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის დაგეგმვის საკითხებზე, რის შედეგად მისი სპეციალიზაცია ჰაერში გამოკიდებული რჩება. მეტად არასაკმარისია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეიარაღება სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების დამუშავების შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის გამოსადეგი ტექნიკით, განსაკუთრებით მთიანი რელიეფის პირობებში.

ეჭვი არ არის, რომ თუ ეს ნაკლოვანებანი აღმოიფხვრა, აფხაზეთს შეეძლება მნიშვნელოვნად გაადიდოს ჩაის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, სხვადასხვა ხილის, ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციას თავის პირველხარისხოვან მოვალეობად მიაჩნია გადაწყვეტოს ეს დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანა, მის განხორციელებას დაუმორჩილოს მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა სოფლად.

პროგრამის პროექტში დასახულია მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა—უზრუნველყოთ საბჭოთა კავშირში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანასთან შედარებით. მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებაში, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება.

ცალკე უნდა შევეხოთ სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საკითხებს. სოფლის მოსახლეობის ეკონომიური და სულიერი მოთხოვნილებები მნიშვნელოვნად გაიზარდა და შემდგომ კიდევ უფრო სწრაფად გაიზრდება. კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი უდიდესი შედეგი იქნება ქალაქსა და სოფლს შორის სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავების ლიკვიდაცია.

აფხაზეთის სოფლებმა უკანასკნელ წლებში უეჭველია ძალიან იცვლეს სახე. მაგრამ სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება ცხოვრების მოთხოვნებს. სოფლად მშენებლობა ძირითადად თვითდინებით, უსისტემოდ და მაორგანიზებელი საწყისის უქონლად მიმდინარეობს. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ჯერ კიდევ მეტად დაბალ დონეზეა.

დიდ ყურადღებას მოითხოვს რესპუბლიკაში სასკოლო მშენებლობის საკითხი. ცნობილია, რომ პარტია ამოცანად სახავს დადვიყენოთო ყველა სკოლა ერთ ცვლად მეცადინეობაზე. აფხაზეთში კი სასკოლო მშენებლობის ტემპები სრულიად არ არის საკმარისი. სასკოლო მშენებლობის საკითხებში მთელი რიგი დიდი ნაკლოვანებებია, რომლებიც ნაწილობრივ ეხება ადგილობრივ ორგანოებს. ვფიქრობ რომ საქართველოს განათლების სამინისტრო ოაგეხმარება ამ ოიიმნშნშენელოვან საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციაში. საჭიროა განიახორციელოთ ყველა ღონისძიება, რომ რესპუბლიკაში, დასახული გეგმა ზოგადგანმანათლებელი სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მშენებლობისა უფუფ შესრულდეს.

სკკპ პროგრამის პროექტში ნათქვამია, რომ ყველა მშრომელთა აღზრდა მაღალ იდეურობისა და კომუნიზმისადმი ერთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ზნეჩვეულებათა გადმონაშთების სრული დაძლევა, პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება, სულიერი კულტურის ნამდვილი სიმდიდრის შექმნა თანამედროვე ეტაპზე მთავარია იდეოლოგიურ მუშაობაში.

კომუნიზმის ყლორტებს დღეს ვხედავთ არა მარტო ჩვენი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის მძლავრ განვითარებაში, არამედ ჩვენს ადამიანების, კომუნისტური საზოგადოების მშენებლთა სახეშიც. აფხაზეთში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, იზრდება კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების რიცხვი. მშრომელთა სულ უფრო მეტი რაოდენობა უკვე ახლა ისწრაფვის იხელმძღვანელოს კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსით, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ პროგრამის პროექტში.

ყოველივე ეს, უეჭველია, პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის შედეგია. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მისი დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება დღევანდელი დღის მოთხოვნებს. საანგარიშოსაარჩევნო პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ არ ეწეოდნენ ბრძოლას წარსულის გადმონაშთებთან. ყოველთვის როდი ეწეოდა ულმობელი ნიანაღმდგომა კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინებას, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ზოგიერთნი საეკლესიო წყაროებიდან იშინებდნენ დიდ საკუთარ სახლებს, ეწეოდნენ სპეკულაციას მსუბუქი ავტომანქანებით და ა. შ.

დიდი სახლთმფლობელების ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მდიდარი ადამიანების“ წარმომშობი ერთ-ერთი მიზეზია სუსტი კონტროლი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების აღრიცხვის ცუდი დაყენება.

ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო კონტროლის მუშაობის დონე და სტილი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ მაღალი. თავი უნდა დავანებოთ წვრილ და ზერელე რეკვიზიებს, რომლებიც არაფერს არ იძლევა, თუმცა ძალიან ხშირად ტარდება. უნდა ავამაღლოთ სახელმწიფო კონტროლის ავტორიტეტი, განვამტკიცოთ ეს ორგანო ძლიერი კადრებით.

საბჭოთა აფხაზეთის მშრომელნი სულით და გულით იწონებენ სკკპ პროგრამის პროექტს და შეაქებთ წინადადებები და დამატებები მის ცალკეულ განყოფილებებში. შემოსულ წინადადებათა ნაწილი მოწონებულ იქნა კრებებზე და პარტიულ კონფერენციებზე. ყურადღების ღირსია წინადადება, რომ პროგრამის პროექტში შეტანილ იქნას დებულებანი მუქთახორეებთან, ალიენტისტებთან, თვალისმახვევებთან, ბიუროკრატებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, პერიოდულად შეცვლის წესის სახელმწიფო ორგანოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანიზეთ მუშაკებზე გავრცელების შესახებ და სხვ.

გაგრის რაიონის სოფელ სალმეს სტალინის სახელობის მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთა კრებაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ამ ყრილობის ფელეგატმა დ. ერქვანიამ განაცხადა, რომ განუყოფელი ფონდების ზრდის მეთოდით ამ სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებს შეეძლებათ უკვე 1962 წლიდან უფასოდ ისარგებლონ ელექტროენერგიით, ტრანსპორტით, ბანაფოთი, წისქვილით, კინომომსახურებით.

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები განაგრძობენ მუშაობას პარტიის პროგრამის პროექტის ახსნა-განმარტებისათვის, იზიდავენ ამ მუშაობაში მთელ პროპაგანდისტულ ძალებს და ისწრაფვიან შეაგებნებინონ ყველა მშრომელს, რომ მათი ყოველდღიური შემოქმედებითი შრომა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ობიექტი — სწორედ ეს არის კომუნიზმისათვის ბრძოლა.

ფართოდ აჩაღებენ რა სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ მომავალი XXII ყრილობის ღირსშენშნავად, აფხაზეთის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი შრომითი საჩუქრებით შეხვდნენ ყრილობას, ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეში. (ტაში).

ამხ. ლ. ი. დავითაძის სიტყვა

მილიონობით საბჭოთა ადამიანები, დადგნენ რა შრომის ვახტზე სკკპ XXII ყრილობის ღირსსანიშნავად, ისწრაფვიან პარტიისა და ხალხის ცხოვრების ეს შესანიშნავი მოვლენა აღინიშნონ ახალი მიღწევებით კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის გამომმართელი

ამ მისწრაფებით მოცული ჩვენი № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივიც. მეფეხსაცმელეებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური ზომებს სკკპ XXII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის ღირსსანიშნავად, ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და დიდი ენთუზიაზმით იბრძვიან მათი განხორციელებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტებმა ფაბრიკის მუშაობაში უმაგალითო შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

როცა გამოქვეყნდა სკკპ პროგრამის პროექტი, საამქროთა კოლექტივებმა გაშალეს ამ ისტორიული დოკუმენტის აქტიური განხილვა.

მთელი თავისი მრავალფეროვანი აღმზრდელობითი საქმიანობის ცენტრში პარტია აყენებს ამოცანას ყველა საბჭოთა ადამიანს განუვითაროს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

შრომის ხასიათის შეცვლა და კომუნისტური შეგნებულობის დონის ამაღლება გამოიწვევს იმას, რომ კომუნისტური საზოგადოებრივი ყველა წევრს განუვითარდება შინაგანი მოთხოვნილება ნებაყოფლობით, თავის მიდრეკილებათა შესაბამისად იშრომოს საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის. ამ აზრებით იყო გამსჭვალული აგიტატორების, კომუნისტების ამბ. ალადაკოვის, მეკურკელიშვილის, რუსიშვილისა და სხვათა თვითეული გამოსვლა, თვითეული საუბარი.

გასაგებია, რომ კომუნიზმი თავისთავად არ მოვა, იგი შეიძენება მხოლოდ შრომით აშენდეს. თვითეული თავის უბანზე კომუნისტურად უნდა შრომობდეს. ეს კარგად ესმის ჩვენი ფაბრიკის მთელ კოლექტივს და კერძოდ იმ ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. იგი სისტემატურად გადაკარბებით ასრულებს გეგმას და ზოგავს მაგარი ტყავის საკონელს. ბრიგადაში შეიდი მეფეხსაცმელეა. ჩვენი ბრიგადის წევრები საქმიანად უპასუხებენ პარტიის მოწოდებას — იცხოვრონ, იმუშაონ და ისწავლონ კომუნისტურად. ბრიგადის სამი წევრი — უშანგი კეკლიძე, არკადი პოლოსოვი და მე პარტიის წევრები ვართ, ვსწავლობთ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

კომკავშირელებმა დ. ჩიბრაძემ, ლ. მელნიჩიუკმა და ნ. ყვირიშვილმა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრეს მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი. ჩვენს ბრიგადაში შრომობს კადრის მუშა გიორგი გოგელაძე, ჩვენი უფროსი მრჩეველ-დამრიგებელი. მან ბევრი რამ გვასწავლა. ჩვენ ყველანი დიდი მეგობრობით ვშრომობთ, ვსწავლობთ და ვცხოვრობთ.

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობას კარგი შედეგებით შეხვდა. იგი სისტემატურად ასრულებს ფეხსაცმლის გამოშვების გეგმას. მაგრამ ჩვენს მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის. მე მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ფაბრიკის პროდუქციის ორასამეოთხედ მაღალი ხარისხი.

პარტიული ორგანიზაცია, ფაბრიკის ადმინისტრაციასთან ერთად, საკმაოდ დიდ მუშაობას ეწევიდა და ეწევა ჩვენი ფაბრიკის ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის. მაგრამ ჩვენი კოლექტივი კვლავ ხედავს ფაბრიკის საჭირო მასალებით მომარაგებასთან დაკავშირებულ სერიოზულ სიძნელეებს.

მთელი ჩვენი მრავალათასიანი კოლექტივისა და პარტიული ორგანიზაციის სახელით ვთხოვთ საქართველოს ვ. ი. ცენტრალურ კომიტეტს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაუწიონ ჩვენს ფაბრიკას დახმარება საჭირო ასორტიმენტის ხარისხოვანი მასალებით დროული მომარაგების მოგვარებაში, რათა ფაბრიკას შეეძლოს კეთილხარისხოვანი ფეხსაცმლის გამოშვება.

ჩვენ, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშები, მთელი კოლექტივი ჩვენი მხრივ არ დავიშურებთ ძალასა და ენერგიას, რომ გამოვუშვათ ისეთი ფეხსაცმელი, რომელიც საბჭოთა ადამიანების გემოვნებასა და მოთხოვნილებას შეეფერება, და ჩვენს წვლილს შევიტანთ კომუნიზმის მშენებლობის იმ დიდი ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც დასახულია სკკპ პროგრამის პროექტში. (ტაში).

ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის სიტყვა

ამხანაგებო! სკკპ პროგრამაში მთელი სისრულით არის ჩამოყალიბებული ის ამოცანები, რომლებიც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პირობებში უნდა დაეფოს საფუძვლად სახალხო განათლების განვითარებას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

საბჭოთა სკოლამ ღირსეულად უნდა შეძლოს სწავლების ორგანულად შეერთება შრომასთან და ახალგაზრდობის აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით.

პარტიის ახალი პროგრამა ერთ-ერთ ძირითად ამოცანად სახავს საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელებას. ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია დასახული ამოცანის შესრულების რეალური პირობები.

საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება მოითხოვს დიდ მოსამზადებელ მუშაობას, რომელსაც ამოავითვე უნდა შეეუდგეთ.

მიუხედავად იმისა, რომ რვაწლიანი საყოველთაო განათლების განხორციელების საქმეში ჩვენს რესპუბლიკას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს, სასკოლო ასაკის ბავშვთა გარკვეული ნაწილი რვაწლიან სკოლას მაინც ვერ ამთავრებს. მაგალითად, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების სკოლებში 1961 წელს გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა კონტინგენტს დააკლდა: ახალქალაქისა და მარნეულის რაიონებში — 500-მდე ბავშვი თვითეულში, წყალტუბოსა და ცაგერში — 400-მდე ბავშვი. საბჭუბაროდ, ასეთი მაგალითები სხვაგანაც არის.

ეს უწინარეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ განათლების ორგანოები და სკოლები ამ საქმეს ჯერ კიდევ უნარიანად ვერ ხელმძღვანელობენ, ისინი დროულად არ იღებენ გადამჭრელ ზომებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყველგან და ყოველთვის არ აქცევენ საჭირო ყურადღებას საყოველთაო განათლების განხორციელებას.

ჩვენი უმთავრესი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ ერთი ბავშვი არ დაგვრჩეს რვაწლიანი სკოლის გარეშე. რადგან უამისოდ საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლებაზე გ

ჩემპიონები კვარცხლბეკზე

XXXIII ჩემპიონატი

გუშინ „ქარიშხალას“ სტადიონზე გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის პირადგუნდური პირველობა მძლეოსნობაში. დღლით ჩატარებული საკლასიფიკაციო შეჯიბრების შემდეგ სტადიონის სარბენ ბილიკებსა და სექტორებზე ჩემპიონატის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისათვის ყველაზე უძლიერესნი იბრძოდნენ.

ამ დღეს ჩვენი ქვეყნის კიდევ რვა ჩემპიონი გამოვლინდა.

როდესაც ვაუმა სპრინტერებმა სტარტი აიღეს, ძნელი იყო თქმა ვინ იქნებოდა პირველი. ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მორბენლები ე. ოზოლინი, ს. პროხოროვსკი და ნ. პოლიტიკო თითქმის მხარდამხარ მისდევდნენ ერთმანეთს. ამ სამეულმა ფინიშის ხაზი ერთდროულად გადაკვეთა და წამომზომებმაც ერთნაირი დრო — 10.5 წამი აჩვენეს. ჩემპიონი და ოქროს მედლის მფლობელი მხოლოდ კირფიერის გამომეღვნებამ გამოავლინა. ეს იყო ლენინგრადელი ე. ოზოლინი.

მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ს. პროხოროვსკიმ (მოსკოვი) და ნ. პოლიტიკომ (ლენინგრადი).

100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის გაიმარჯვა და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა ბელორუსელმა მარია იბკინამ, რომელმაც ეს მანძილი 11.4 წამში დაფარა. ფინიშთან 2 წამით გვიან მიიჭრა ოქროს მედლის მფლობელი სიგრძეზე ხტომაში ტატიანა შილკანოვა (ლენინგრადი) და ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

სსრ კავშირის რეკორდსმენმა ა. მიხაილოვმა (ლენინგრადი), როგორც იტყვიან, გასული წლების „ტრადიციას“ არ უღალატა და ამჯერადაც პირველი იყო 110 მეტრზე თარჯრბენში. 13,7 წამი შედეგით მან სსრ კავშირის რეკორდი გაიმეორა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. სპორტის ამ სახეობაში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა ვ. ჩისტიაკოვმა (რსფსრ). მესამე ადგილზეა უკრაინელი მ. სტოროჟენკო.

სარბენ ბილიკებზე 400 მეტრზე მორბენალი ვაუები გამოვიდნენ. აქ კარგი სტარტი აიღო უკრაინის წარმომადგენელმა ვ. არხიპჩუკმა. მან პირველმა გადაკვეთა ფინიშიც. 47 წამი შედეგი აჩვენა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა. მეორე ადგილზე გამოსული მოსკოველი ე. არაკელიანის შედეგია 47,2 წამი. ბრინჯაოს მედალი ნილად ხვდა ვ. რახმანოვს (მოსკოვი).

ქალთა შორის 800 მეტრი მანძილი ყველაზე მოკლე დროში (2.05,6) დაფარა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. ლისენკომ (უკრაინა). მეორე ადგილზეა მოსკოველი ვ. მუხანოვა.

ჩემპიონატის თავისებური „სენსაცია“ იყო უზბეკეთის წარმომადგენლის ბ. ბალოდის გამარჯვება, რომელმაც ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა. მან 174 სმ. სიმაღლის თამასა დასძლია და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. უკრაინელი გ. ევსიუკოვა მხოლოდ 3 სანტიმეტრით ჩამორჩა ჩემპიონს.

ვაუთა შორის ბირთვის კვრაში პირველობა არვის დაუთმო ლენინგრადელმა სპორტსმენმა ვ. ლიასნისმა. მან 18,20 მ. შედეგით გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ყველაზე მაღალი საფეხური დაიკავა. ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა ვ. ვარანაუსკასი (17,75 მ.).

ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში იოლ გამარჯვებას მიაღწია მსოფლიო რეკორდსმენმა თ. პრესმა, რომლისთვის მეტოქეობის გაწევა არცერთ მონაწილეს არ უფიქრია. მის მიერ გატყორცნილი ბადრო 56,20 მეტრზე დაეცა.

მეორე ადგილზე გამოსულ ა. ზოლოტუხინას შედეგია 51,58 მ.

ასპარეზობა გრძელდება.

ლ. გიორგაძე,

შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე.

• • •

სურათებზე: (მარცხნივ) ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში თ. პრესი. (მარჯვნივ) 110 მ. თარჯრბენში გამარჯვებულნი ა. მიხაილოვი (ცენტრში), ვ. ჩისტიაკოვი (მარცხნივ) და მ. სტოროჟენკო (მარჯვნივ).

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



ᲨᲕᲘᲓᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

მოსკოვში ორ დღეს გრძელდებოდა მატჩი ცურვასა და წყალში ხტომაში უნგრეთისა და სსრ კავშირის უძლიერეს მცურავთა შორის.

მატჩის მსვლელობაში საბჭოთა სპორტსმენებმა 7 ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარეს.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მოსკოვის დინამოელის ვ. კონოპლიოვის სარეკორდო მაჩვენებელია 54,4 წამი.

1.09,2 — ასეთია ახალი საკავშირო რეკორდი 100 მეტრზე ბრასით ცურვაში, რომელიც დაამყარა ლვოველმა მცურავმა გ. პროკოპენკომ.

4.06,4 — ეს ციფრი მესამე საკავშირო რეკორდია. იგი დაამყარეს კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მ. ლ. ბარბიერმა (ზურგზე ცურვა), გ. პროკოპენკომ (ბრასი), ე. მარკელოვმა (ბატერფლაი) და ვ. კონოპლიოვმა (თავისუფალი სტილი).

200 მეტრზე ზურგზე ცურვაში ლ. ბარბიერის ახალი სარეკორდო მაჩვენებელია 2.13,9.

200 მეტრზე ბრასით ცურვაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ა. კოლესნიკოვმა, რომლის შედეგია 2.30,1. ორი ახალი საკავშირო რეკორდით აღინიშნა აგრეთვე ესტაფეტა 4×100 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში.

პირველ ეტაპზე სარეკორდო შედეგი — 54.1 აჩვენა ვ. კონოპლიოვმა. მის მიერ დაზოგული წამები მაქსიმალურად გამოიყენეს გ. კონოპლიოვის თანაგუნდელებმა ვ. სემჩენკოვმა, ვ. მორევმა, ი. ლუკოვსკიმ და ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენები გახდნენ. ესტაფეტა ამ ოთხეულმა 3 წუთსა და 42,3 წამში დაფარა, რაც ახალი საკავშირო რეკორდია.



ᲥᲝᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲘ

თბილისი — ბლედი

მიხეილ ტალი პირველ ადგილზე

იუგოსლავიის ქალაქ ბლედში დამთავრდა საერთაშორისო „საუადაკო“ ტურნირი, რომელშიც ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, საბჭოთა გროსმაისტერმა მიხეილ ტალმა. მან 14,5 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა. ახალგაზრდა ამერიკელმა ფიშერმა 13,5 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზე გამოვიდა.

12,5-12,5 ქულით მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილები გაიყვეს კერესმა, პეტროსიანმა და ვლიგორიჩმა.

გუშინ. ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა იუგოსლავიის ქალაქ ბლედს.

ტელეფონის ხაზზეა ბლედი. სასტუმრო „ტიეპლიცა“. ყურმილთან მოვიდა მიხეილ ტალი, რომელსაც მივულოცეთ ამ წლის ერთ-ერთ უძლიერეს ტურნირში გამარჯვება და ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვა ეთქვა ტურნირის შესახებ.

მ. ტალი სიამოვნებით დაგვთანხმდა:

— ბლედის ტურნირი, — თქვა მან, — რომელიც ერთ თვეს მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა, აღსანიშნავი იყო იმით, რომ მასში მონაწილეობდა მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილი და დიდ საერთაშორისო ტურნირებში გამოწრთობილი გროსმაისტერი. საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვა ახალგაზრდა ამერიკელმა მოჰადრაკემ ფიშერმა, რომელიც უდაოდ კარგ სპორტულ ფორმაშია და მომავალში მისგან ჭეშმარიტად დიდ თამაშს უნდა მოველოდეთ.

მიუხედავად ცუდი სტარტისა, მისასალმებელია საბჭოთა მოჭადრაკეების წარმატება ამ ტურნირში.

მადლობას გიძღვნით გულითადი მოლოცვისათვის, — თქვა დასასრულ მ. ტალმა, — და გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მის მკითხველებს გადასცეთ ჩემი გულთბილი სალამი და საუკეთესო სურვილები.

ვეცდები ამ წლის ბოლოს ვესტუმრო თქვენს დედაქალაქს.

მალე შეხვედრამდე, მეგობრებო!

სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

გუშინ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გაიმართა მატჩი ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის „ა“ კლასის 11-22-ე ადგილებისათვის მებრძოლ გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამო“ და ლენინგრადის „ალმაცერეი“. მატჩის ანგარიშია 4:1. გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ორი მატჩი ქალათბურთში

თბილისს სპორტის სასახლეში გაიმართა ორი საერთაშორისო მატჩი ქალათბურთში ქართველ და ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენთა შორის.

პირველს „სლავიას“ ქალათბურთელი ქალები შეხვდნენ თბილისის „პოლიტექნიკოსის“ გუნდს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 56:56. მეორე შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიელთა მეტოქე იყო თბილისის ნაკრები. ეს საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 53:47.

არმიელ მოფარიკაველთა წარმატება

ბუდაპეშტში დამთავრდა მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი ფარიკაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები.

8-დღიანი ბრძოლის შემდეგ საბჭოთა მოფაიჭაკეებმა მოიპოვეს 8 ოქროს, 10 ვერცხლისა, 6 ბრინჯაოს მედალი და საერთო გუნდური პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ უნგრეთის არმიელები, მესამეზე — პოლონელი სპორტსმენები.

ᲓᲐᲗᲕᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ

— ვაიმე, გიორგი! — სასოწარკვეთით შეეკივლა ქალმა და მკვდარი დათვის გვერდით მიწაზე გაშხლართულ გონებადაკარგულ ქმარს ზედ დაეხო.

— ნუ გეშინია, არა მაშავს რა, — ძლივს ამოიღლღლეა ტანსაცმელშემოხეულმა და სისხლით მოსვრილმა გიორგიმ, — მალე, მალე წამიყვანეთ საავადმყოფოში.

მის საძებნელად წამოსულმა მეზობლებმა გიორგი ცხოვრებოვი, ქარელის რაიონის სოფელ ზღუდრის კოლმეურნე, სასწრაფოდ სოფლის საავადმყოფოში ჩაიყვანეს, სადაც პირველი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, მოასულიერეს.

ი ი რა გვიამბო გ. ცხოვრებოვმა:

— შეშის საკრელად წავედი. ორი დანომრილი ხე მოვკერი, ის იყო მესამეს ცული მოვუქნიე, რომ უანდან რაღაც ძლიერად დამეტაკა. მაესვე შემოვბრუნდი და თვალებს არ დავუჯერე — ჩემ წინ უკანა თათებზე შემართული უშველებელი დათვი დავინახე. შიშველი ხელებით შევები. ვგრძნობდი, თანდათან როგორ მელეოდა ძალა. ტანზე, სახეზე მწარე ტკივილები ვიგრძენი. სიკვდილი თვალწინ დამიდგა. უკანასკნელი ძალა მოვიკრიფე და წამით თავი დავაღწიე დათვის კლანჭებს. იქვე ხის ძირას დაგდებულ ცულს ხელი ვტაცე, მთელი ძალით მოვიქნიე და... ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ეს ვეებერთელა დათვი მოწყვეტით დაეცა მიწაზე. ერთი კი მოვკარი თვალი დათვის ორად გაპობილ თავს, და მერე აღარაფერი მახსოვს.

ამჟამად გ. ცხოვრებოვი სრულიად გამოჯანმრთელდა და კარგად გრძნობს თავს.

ვ. ვალიშვილი.

ლატარიის ბილეთით — „ᲕᲝᲚᲒᲐ“

ქუთაისი, 4 ოქტომბერი. (საქდესი). ქუთაისის მინის ტარის ქარხნის მუშამ ი. გვანცელაძემ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთის ლატარიის ბილეთი, რომლის ნომერია 199, სერია 80818. ამ ბილეთით მან მოიგო მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“.

რედაქტორი

დ. მეედლიშვილი.

ᲐᲛᲐᲡ ᲨᲔᲜᲖᲔ ᲐᲙᲔᲑᲚᲔᲜ, ᲠᲔᲛᲔᲚ ᲡᲐᲔᲛᲝᲒᲚᲝᲕ!

რამაც ჩვენ აღგვაფრთოვანა

სამ დღეს იყო საქართველოში პოლონელ მწერალთა დელეგაცია, ოთხელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად ჩამოვიდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მოწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან თვალსაჩინო პოლონელი მწერალი, პოლონეთის მწერალთა კავშირის საზღვარგარეთთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კრიტიკოსი ზ. ფედეტკი, პოლონეთის მწერალთა კავშირის ქალაქ ლოძის გაყოფილების თავმჯდომარე, მოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენაზე მთარგმნელი ი. სიკირიცკი, ბელეტრისტები ა. რუდნიცკი, კ. ფილიპოვიჩი, ლ. ჰუეტკი და ე. პიტლიაკოვსკი.

სახალხო პოლონეთის ლიტერატორები შეხვდნენ თავიანთ ქართველ კოლეგებს, ესაუბრნენ მწერლებს ს. ჭილაიას, ბ. ელეხაზე, ს. ჩიქოვანსა და ი. ნონეშვილს.

სტუმრებია ქართველ მწერლებს საჩუქრად გადასცეს პოლონურ ენაზე გამოცემული წიგნები — მოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართული პოეზიის ათთოლოგია“.

პოლონელმა მწერლებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი. ზეკარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოისმინეს ოპერა „დაისი“.

თბილისიდან გამგზავრების წინ დელეგაციის ხელმძღვანელმა კრიტიკოსმა ზ. ფედეტკომ თქვა:

— ჩვენ აღგაფრთოვანა მზიურმა სჩქართველომ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამ ქვეყანამ დიდი წარეთაღები მოიპოვა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. ეს მიღწევები შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დამაბარების მეოხებით. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო გვენახა აყვავებული საქართველო. ჩვენი ხალხების მეგობრობას ხომ ღრმა ფესვები აქვს. ჩვენი, კულტურის მოღვაწეთა მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით შეეწყოთ ხელი ამ მეგობრობის განმტკიცებასა და გაღრმავებას. (საქდესი).



დასავლეთის „ორკესტრში“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ბოგაჩევი იუწყება:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე გრძელდება დისკუსია საერთაშორისო-პოლიტიკურ საკითხებზე. დღევანდელ დილის პლენარულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრინმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სასწრაფოდ მოწესრიგდეს ბერლინის საკითხი მოლაპარაკების გზით. გრინმა თქვა, რომ ამ საკითხის გადაჭრისათვის მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს, და ამაევე დროს აღნიშნა, რომ საკითხის გადაწყვეტაში შესაძლებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილეობაც. მან, კერძოდ, ილაპარაკა ბერლინში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა გაგზავნის შესახებ.

შემდეგ გამოვიდა საუდის არაბეთის წარმომადგენელი შუქერი. მან ამბილა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის ფარისეველური ხასიათი, რომლებიც თავის დროზე მხარს უჭერდნენ საფრანგეთს, რომელიც ატომურ აფეთქებებს ახორციელებდა საჰარაში, ახლა კი ცდილობენ გამოხატონ გულითადი აღფოთება საბჭოთა კავშირში ატომური იარაღის გამოცდის განახლების გამო. დასავლეთს, თქვა მან, არ შეუძლია დაიცვას პრინციპები ერთ შემთხვევაში და აბსოლუტურად უგულებელყოს იგივე პრინციპები მეორე შემთხვევაში.

შეეხო რა გერმანიის პრობლემას, შუქერიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა არ ეფიქრება ადგილებელყოთ შექმნილი მდგომარეობა და ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტი.

საუდის არაბეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ შეიძლება ვიელაპარაკოთ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის იმ კეთილინაადი დასავლეთის სახელმწიფოთა ეკონომიური დახმარების შესახებ, რომლებიც დასავლეთის მხრივ სასტიკი ექსპლოატაციის მსხვერპლი იყვნენ მრავალი წლის განმავლობაში.

შუქეიროიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სასწრაფოდ მოისპოს კოლონიური ოეეანები აფრიკასა და აზიაში და დასცინა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის პიტერის იმ განცხადებას, რომ ინგლისი ნებაყოფლობით ანებებს დამოუკიდებლობას თავის მიერ დამონებულ ხალხებს. შემდეგ საუდის არაბეთის დელეგატი დაწვრილებით შეეხო პალესტინის პრობლემას.

ამით გენერალური ასამბლეის დღის სხდომა დამთავრდა.

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის დღის პლენარულ სხდომაზე საერთაშორისო-პოლიტიკურ დისკუსიაში გამოვიდნენ ალბანეთის, პარაგვაისა და პაკისტანის წარმომადგენლები.

უკანასკნელ წლებში მოპოვებულია უდიდესი გამარჯვებები კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის ძალებზე, განაცხადა თავის გამოსვლაში ალბანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰტიულმ. მაგრამ იმპერიალიზმი ჯერ კიდევ დაბრკოლებად რჩება, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა მონაწილეთა აგრესიული პოლიტიკა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს.

ალბანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა დიდი მნიშვნელობა გეონანიის საზავო ბელშეკრულების დადებისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ანითხოვს.

შეეხო რა განიარაღების პრობლემას, ჰტიულმ ამხილა დასავლეთის სახელმწიფოთა ფარისეველობა, რომლებიც სიტყვით ლაპარაკობენ განიარაღების შესახებ, საქმით კი გამალებით აღლიერებენ საომარ მზადებას.

ალბანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ძოუწოდა გეხერალურ ასამბლეას აღადგინოს ჩინეთის საალაო ოეესაბლიკის კანონიერი უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

პაპაგვაის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეემ ალფრო ვილარიმ თავის გამოსვლაში ითქვა, ითქვა თავისი ქვეყნის საკითხიო პრობლემებს და ქება-დიდება შეასხა ამერიკის ბეერთებული შტატების პროზიდენტის კენედის პროგრამას ლათინური ამერიკისათვის. მაგრამ ვილარე მაინც იძულებული გახდა ელიარებინა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებში უცხოელთა ეკონომიური დახმარების ეფექტიანი განხორციელებისათვის საჭიროა ძიერეულ იქნეს ლათინური ამერიკის ქვეყნების ეროვნული საკოხლის ფასების სტაბილიზაცია.

პაკისტანის წარმომადგენელი ზაფრულა-ხანი თავის გამოსვლაში შეეცადა ბეეცვალა საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი იმ მოთხოვნით, რომ შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა. იგი ცდილობდა დელეგატთა ყურადღება ჩამოემორებინა ხადგილი საფრთხისაგან, რასაც შეიცავს გაძალებული შეიარაღება, და გაეჭიახურებინა თახანადროვეობის კარდინალური საკითხის გახსნილვა, რომლის გადაჭრაზე საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია ატომური იარაღის გამოცდის ბეუყვეტის საკითხი.

პაკისტანის დელეგატის აზრით, „მშვიდობა და უშიშროეობა“ არ შეიძლება ითქეულ იქნეს მარტოოდენ განიარაღების გზით, ამისათვის, როგორც ძან თქვა, საჭიროა „დამაკავშირებელი ფესვები“ არა მარტო პირად, არამედ საერთაშორისო ურთიერთობაშიც.

ამით გენერალური ასამბლეის დღის პლენარული სხდომა დაიხურა.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 3 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მინისტრმა ცუკერტმა დღეს ლონდონში განაცხადა, რომ ამერიკის ოთხი სამხედრო ბაზის დახურვა ინგლისში, რაც გამოცხადდა რამდენიმე თვის წინათ, გადაიდო „განუსაზღვრელი ვადით“.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 3 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის მუშაკთა გაერთიანებულმა პროფკავშირმა გამოაცხადა, რომ დაიწყო „ფორდ მოტორ კომპანის“ ქარხნების 120 ათასი მუშის გაფიცვა. გაფიცვა გამოცხადდა მას შემდეგ, რაც კომპანიის წარმომადგენლებმა უარი თქვეს დაეკმაყოფილებინათ პროფკავშირის წარმომადგენელთა მოთხოვნები.

მუშები მოითხოვენ შეწყდეს გაძლიერებული ექსპლოატაცია და დადოს შეთანხმება „ხელშეკრულების“ შესახებ. ისინი იბრძვიან აგრეთვე იმისათვის, რომ განხორციელდეს სწრაფი ღონისძიებანი კომპანიისათვის წაყენებული ბევრი განუხილველი პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 4 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბეირუთიდან იუწყება, რომ მიმდინარეობს ეგვიპტელთა მასობრივი ევაკუაცია სირიიდან. გუშინ ბეირუთიდან კაიროს თვითმფრინავებით გადაიყვანეს 400-მდე ეგვიპტელი სახელმწიფო მოხამსახურე და ოფიცერი. 3 ოქტომბერს ღამით დაახლოებით 1.200 ეგვიპტელი გაემგზავრა ბეირუთის ნავსადგურიდან თბომავლით. უკანასკნელ დღეებში ხუთი ათასზე მეტი ეგვიპტელი სირიიდან ლიბანში ჩავიდა. ვარაუდობენ, რომ სულ დაახლოებით 27 ათასმა ეგვიპტელმა უნდა დატოვოს სირია.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ. სან-პაულო. ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

ფოტო ვ. სობოლევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ

ვარშავა, 3 ოქტომბერი. (საკდესი). ვარშავაში დამთავრდა ჟურნალისტთა საერთაშორისო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ 21 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ალეჟირის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ინდონეზიის პრესის წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს გერმანიის პრობლემასთან და ევროპის უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხები.

ჟურნალისტთა საერთაშორისო შეხვედრაზე გამოვიდნენ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი, „პრავდის“ მთავარი რედაქტორი პ. ა. სატიუკოვი, პოლონეთის გაზეთ „პოლიტიკის“ მთავარი რედაქტორი მ. რაკოვსკი, გაზეთ „ნოვეს დიინ“ მთავარი რედაქტორი ხ. ზინდერმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ბულგარეთის გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ მთავარი რედაქტორი გ. ბოკოვი, ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს მთავარი რედაქტორი ს. რეისი, ინგლისის გაზეთ „სანდი ტაიმსის“ დიპლომატიური კორესპონდენტი ნ. ტეროლი, ინგლისის ჟურნალ „ეკონომისტის“ უცხოთის განყოფილების რედაქტორი დ. მიჯლი, ამერიკის გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის“ კორესპონდენტი პ. ვოლი, ინგლისის გაზეთ „ობსერვერის“ მთავარი რედაქტორი დ. ასტორი, საფრანგეთის გაზეთ „მონდის“ დირექტორი ი. ბეგ-მერი, ი. სინგხი (ინდოეთი), უ. საიდი (ინდონეზია) და სხვები.

საერთაშორისო ცხოვრება

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲞᲘᲛᲘᲡᲮᲘᲠᲕᲐ

ᲮᲘᲡᲐᲙᲝ ᲜᲐᲒᲐᲢᲐᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲒᲐ

ტოკიო, 3 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირში სამი წლის ყოფნის შემდეგ დღეს საბჭოთა გემ „ალექსანდრე მოჟაისკოთ“ იაპონიაში დაბრუნდა ხისაკო ნაგატა — შეერთებული შტატების მიერ ქალაქ ნაგასაკის ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მსხვერპლი.

ხისაკო ნაგატა საბჭოთა კავშირში გადიოდა მკურნალობის კურსს მძიმე დაავადების შემდეგ, რაც მიიღო ატომური დაბომბვის შედეგად, ხოლო შემდეგ სწავლობდა მოსკოვის ერთ-ერთ ინსტიტუტში.

იოკოჰამის ნავსადგურში ხისაკო ნაგატას ჯერთბილად შეხვდნენ იაპონიის დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ხისაკო ნაგატამ სიტყვა წარმოთქვა ჟურნალისტების წინაშე და გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ექიმებს, რომლებმაც მას მეტყველება და ჯანმრთელობა დაუბრუნეს.

ᲡᲔᲜᲓᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲨᲘ

აკრა, 3 ოქტომბერი. (საკდესი). განის პრეზიდენტმა კვამე ნკრუმამ გუშინ მიიღო ინგლისის ერთა თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი დანკენ სენდისი, რომელიც აკრაში ჩამოვიდა. დღეს გაგრძელდება მოლაპარაკება ნკრუმასა და სენდისს შორის ინგლის-განის ურთიერთობის მდგომარეობის შესახებ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მაკმილანის მთავრობამ საჩქაროდ გაგზავნა სენდისი აკრაში მას შემდეგ, რაც გენერალი ალექსანდერი და სხვა ინგლისელი ოფიცრები ჩამოაშორეს განის შეიარაღებული ძალების სარდლობას და მოხდა განის რესპუბლიკის მთავრობის რეორგანიზაცია.

მოლაპარაკებისადმი მიძღვნილ მოწვნავე სტატიაში გაზეთი „განიენ ტაიმსი“ გაფრთხილებას იძლევა, რომ განა არ დაუშვებს, რომ იმპერიალისტებმა „ცხელი ჩაყონ ჩვენს სამნახაო საქმეებში... ჩვენ ვუცხადებთ მათ, რომ წარმატება არ ექნება არავითარ შეთქმულებას, რომელიც მიზნად დაისახავს ჩვენი მთავრობის დამხობას და განაში მარიონეტული პროკოლონიზატორული რეჟიმის დანერგვას“.

„ᲩᲕᲔᲜ ᲕᲜᲐᲮᲔᲗ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ“

დაიხურა საბჭოთა გამოფენა პარიზში

პარიზი, 4 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. დრაგუნოვი იტყობინება.

მთელი 30 დღის განმავლობაში პარიზის საგამოფენო პარკში ვერსალის კართან ფოიალებდნენ საბჭოთა კავშირის წითელი ალმები. აქ, 25 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე მოთავსებული იყო საბჭოთა გამოფენა, რომელმაც ფოთლების დიდი ინტერესი გამოიწვია. 23 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა გამოფენა ამ ერთი თვის განმავლობაში. მათ სურდათ უფრო ახლოს გაცნობოდნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, როგორც აქ ამბობდნენ, პარიზიდან გაუსვლელად, მოეხდინათ წარმტაცი მოგზაურობა სსრ კავშირში.

გუშინ საღამოს 10 საათზე დაიხურა პავილიონების კარი, სადაც განლაგებული იყო მრავალი ათასი ექსპონატი, ფოტოსურათი, დიაგრამა.

გამოფენა სიმართლითა და მრავალმხრივ ასახავდა საბჭოთა ქვეყნის დღევანდელობას. „ჩვენ ვნახეთ სსრ კავშირი ისეთი, როგორიც არის“, „მადლობა გამოფენისათვის, მადლობა სიმართლისათვის“, „ეს როგორი ყოფილა თურმე საბჭოთა კავშირი“ — ეს და ასობით სხვა ჩანაწერი შთაბეჭდილებათა წიგნში მოწმობს, რომ გამოფენამ ვერსალის კართან თვალი აუხილა ბევრს, ვინც ჯერ კიდევ რეაქციული პროპაგანდის ტყვეობაში იმყოფება.

გამოფენის ერთ-ერთ დარბაზში, იქ, სადაც წარმოდგენილი იყო უნიკალური შესადღეგები აპარატები და ქვანახშირის შეკანიკურად ამოსაღები მანქანები, საბჭოთა ჟურნალისტები გაესაუბრნენ ფრანგ ინჟინერს, რომელიც მეოთხედი საუკუნის წინათ იყო პარიზის 1937 წლის მსოფლიო გამოფენის საბჭოთა პავილიონში. მაშინაც კი, თქვა მან, საბჭოთა კავშირი ყველას განაცვიფრებდა თავისი მიღწევებით, განსაკუთრებით, თუ გავიხსენებთ, რით დაიწყეთ თქვენ. ახლა კი საკმარისია ერთი სტენდი, რომ რამდენიმე საათს დარჩე ამ გამოფენაზე.

პარიზელებს გარდა, გამოფენაზე იყვნენ საფრანგეთის ყველა რაიონის მეცხოვრებლები, საფრანგეთში მყოფი უამრავი უცხოელი ტურისტი.

დამთვალიერებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სტენდებმა, რომლებიც ასახავენ კოსმოსის კვლევას, ატომის დამორჩილებას, საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებისადმი, მათი დასვენებისადმი მიძღვნილმა განყოფილებებმა.

ადამიანები არა მარტო ათვალიერებდნენ, არამედ იძლეოდნენ ათასობით შეკითხვას, თან დასტობით ჰქონდათ პროსპექტები და განმ